საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდ-ვუნი სიფფუვაა, ფფუილებით და ჭიანებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 26 ოქტომბერი. 2018 წ. №214 (8615) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გონიერებამ არ უნდა გვიღალატოს!

ომარ მარგველაშვილი:

რა ვქნათ? ვის მივცეთ ხმა?

საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მხოლოდ ზურაბიშვილი ლაპარაკობს სიმართლეს, ამიტომ არის სალომე ყველაზე ღირსეული კანდიდატი

3

თეიმურაზ მეფის პორტრეტი ხელოვნების მუზეუმში

7

დიმიტრი შველიძე:

როგორ შეაფასებს ისტორია 2008 წლის აგვისტოს ომს?!

4

შარლ დე გოლი:

მამაცთა სიკვდილით დაიღუპა თავადი ამილახვარი

6

აშშ-ის საელჩო: ქართულ სანელებლებში ტყვიის მაღალი შემცველობაა!

9

„ერთ მილიონს გადავუხდი, ვინც „სნაიპერსკი ვინტოვკით“ მოკლავს ბიძინას“

უკრაინული საიტი მიხეილ სააკაშვილისა და თემურ ალასანიას სკანდალური ჩანაწერს აქვეყნებს

უკრაინულ საიტზე ZDES.-COM.UA-ზე მიხეილ სააკაშვილისა და ბიძამისის თემურ ალასანიას სკანდალური ჩანაწერი გავრცელდა.

მიხეილ სააკაშვილი: გვარამია ხო არ გამოჩენილა? ხო არ გილაპარაკია? დაწყნარდა ბოლომდე?

თემურ ალასანია: ძაან სწორ აზრზეა, ძაან კარგად არის. უსმენს ამათ, მაგრამ არაფერს ამათ მიხედვით არ აკეთებს. ამიტომ ჩვენ, ერთადერთი ნიშა ჩვენი არიო რადიკალიზაცია საზოგადოების.

მიხეილ სააკაშვილი: მოახდინოს რადიკალიზაცია. რადიკალიზაცია გამოიწვევს ქაოსს რა.

თემურ ალასანია: აი როგორი იცი? ნამდვილად იმიტომ, რომ ფეხზე დავდგებით. აი ნახავ თუ არა.

მიხეილ სააკაშვილი: კვესიტაძე არის ის, რაც უნდა იყოს აწი, პროპაგანდა სულ. მარა, ასევე რაღაცა სეგმენტი გვინდა პროპაგანდის, თბილისის „Middle-class“-ისთვის და უნდა ვისწავლოთ ასევე ინტერნეტ-სეგმენტის გამოყენება.

თემურ ალასანია: ზუსტად ეგრეა.

მიხეილ სააკაშვილი: ჩვენ ორი ელემენტის გაძლიერება გვჭირდება: რევოლუციური ახალგაზრდობის და მეორე, თბილისის „middle class“-ის იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში რევოლუციას ეგენი ახდენენ. მანდ გვაქვს სერიოზული ჩავარდნა იმიტომ, რომ ამათ წარმოიდგინეს, რომ თბილისი ეს არის ბაზრობებზე სიარული და გლდანის მეტროში და ეგ, ეგრე არ არის. ისიც არის, მაგრამ გადამწყვეტი რევოლუციური მუხტი არის აი ეს „Self made“ ბიზნესები თბილისის ცენტრში.

თემურ ალასანია: ჩვენი მომხრეები ეგენი არ არიან, თავიდანვე გითხარი. აი, ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს არ გამოვა.

მიხეილ სააკაშვილი: და თან, ამ სირეებს რომ ჰგონიათ, რომ ამათთან რაღაც დიდს მიაღწევ.

თემურ ალასანია: არა. ეს არის ავადმყოფი ერი რა. ეს არის... ამათ სანამ არ დაა...ვამ თავზე და სანამ დედას არ მოუ...ავ, ვერ იგებენ ვერაფერს რა.

მიხეილ სააკაშვილი: ეგრე იყო ეგ ხალხი, მთელი ცხოვრება და ეხლა რატომ იქნება...

თემურ ალასანია: მაგათი დედა მოვ... ან მე, ქართველების „პროსტა“. ქართველების დედა მოვ...ან „პროსტა“. ვინ არიან ესენი ტო? ეს „ავანტყოფი“ ერი ვინ არის ტო? დავიღალე იცი „პროსტა“ აი ცდისგან. ვზივარ, ვზივარ, ვზივარ. რაღაც ზარებს ველოდები რაღაცას. მივდივარ-მოვდივარ... სულ რაღაცა ხვალ-ზეგ, აი ეხლა მოხდება, აი ეხლა მოხდება...

მიხეილ სააკაშვილი: ამათ სულ აჭრილი აქვთ ყველაფერი, რამსები. არიან რაღაცა... ეს არჩევნები კიდე უფრო დააბნევთ იმიტომ, რომ დააყენეს უსუსტესი კანდიდატი და ცუდი კამპანია აქვთ. ისა, რა ქვია...

თემურ ალასანია: დავიღალე. იმიტომ კი არა, რომ ცუდად არის რამე საქმე? არა! „პროსტა“ აი ცდამ დამღალა. სულ რაღაცას ვუცდი. ერთ მილიონს გადავუხდი, ვინც „სნაიპერსკი ვინტოვკით“ მოკლავს ბიძინას. „პროსტა“, „Simple as that“. „Simple as that“.

მიხეილ სააკაშვილი: ეხლა ჟურნალისტებს მიხედე ჯობია და გვარამიას.

რედაქციისგან: ტერორისტულად განწყობილმა ბიძა-დისშვილმა გუშინვე, რასაკვირველია, უარყო ამ სატელეფონო საუბრის ნამდვილობა.

სწრაფად დავამთავროთ არჩევნები და შევუდგეთ აღმშენებლობას!

ყველა სოციოლოგიური გამოკითხვით, დიდი ალბათობით, მაგრამ არა აუცილებლობით, თუ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის მაქსიმალური მობილიზება იქნება, **სალომე ზურაბიშვილი პირველსავე ტურში აიღებს საჭირო ხმებს, რაც მას გამარჯვებას მოუტანს,** — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ყველაზე პესიმისტური გათვლებითაც კი, მეორე ტურს იგებს სალომე ზურაბიშვილი.

„თუკი შედგა მეორე ტური და ამის მცირე ალბათობა არსებობს, თითქმის ერთნაირი შანსი აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ ორ წარმომადგენელს. ერთი ქულაა, მგონი, სხვაობა ბაქრაძესა და ვაშაძეს შორის, ხოლო 1%-იანი სხვაობა არჩევნებში შეიძლება სხვანაირად გამომჟღავნდეს. თუ იქნება მეორე ტური, ასეთ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობის“ რომელიმე წევრი მიიღებს მონაწილეობას. ეჭვი არ არის, რომ მეორე ტურში გაიმარჯვებს ქალბატონი სალომე. დავაცხროთ ემოციები და ეს არჩევნები პირველსავე ტურში დავამთავროთ. ვთხოვ, კიდევ ერთხელ მაქსიმალურ მობილიზებას „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, გადადონ გვერდზე ის კითხვის ნიშანი, რომ სალომე ზურაბიშვილი არ არის „ქართული ოცნების“ წევრი. მივმართავ ასევე ჩვენს ყოფილ მხარდამჭერებს, გვერდზე გადავდოთ ყველაფერი, გავერთიანდეთ, სწრაფად დავამთავროთ არჩევნები და სწრაფად შევუდგეთ აღმშენებლობას“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი გარანტი!

მინდა, შევუერთდე იმ სულისკვეთებას, **რომელიც ამ დარბაზშია, და კიდევ ერთხელ, თქვენთან ერთად გავუსვა ხაზი ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის უპირატესობას, როგორც პრეზიდენტობის ყველაზე სასურველი კანდიდატისა,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კამპანიის შემაჯამებელ შეხვედრაზე განაცხადა.

„ყველასთვის ნათელია, რომ ჩვენი პოლიტიკური გუნდის საგარეო-პოლიტიკური ვექტორი სრულად ემთხვევა ქართველი ხალხის ისტორიულ ნებას, იყოს ევროპის ნაწილი, და ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი. ეს ჩვენი მსოფლმხედველობრივი ერთობაა ევროპასთან, ეს არის ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისკენ, უსაფრთხოებისკენ, მეტი შესაძლებლობებისკენ. ეს არის ჩვენი ცივილიზაციური არჩევანი. სწორედ ამ გეზის გამტარებელი იქნება ჩვენ მიერ მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, ის იქნება საქართველოს ევროპაში და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი გარანტი. ჩვენ ყველამ ვნახეთ, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალების აგრესიული, დესტრუქციული და შეურაცხმყოფელი რიტორიკის მიუხედავად, ქალბატონმა სალომემ ამომრჩეველს ევროპული ტიპის წინასაარჩევნო კამპანია შესთავაზა, რაც იყო კიდეც ჩვენი საზოგადოების მოთხოვნა და სურვილი“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

28 ოქტომბერს უნდა ავირჩიოთ სიმართლე, ღირსება, სამშობლოს სიყვარული...

ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა **წარმართა ჭეშმარიტად ევროპული სტილის, ქართული ღირსებისთვის შესაფერისი საარჩევნო კამპანია, რითაც საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ის იქნება ჩვენი ღირსეული ქვეყნის ღირსეული პრეზიდენტი,** — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის წინასაარჩევნო კამპანიის შემაჯამებელ შეხვედრაზე განაცხადა.

„28 ოქტომბერს ჩვენ უნდა ავირჩიოთ სიმართლე, ღირსება, სამშობლოს სიყვარული, წინსვლა, „ქართული ოცნება“, სალომე ზურაბიშვილი. თქვენთან ერთად, ჩვენ აუცილებლად დამაჯერებლად გავიმარჯვებთ საპრეზიდენტო არჩევნებში. ამ არჩევნების შემდეგ, ორი წელი მომდევნო არჩევნებამდე ჩვენ უნდა დავუთმოთ იმ პრობლემების მოგვარებას და გამოწვევების დაძლევას, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება უნდა გახდეს არა მოდუნების მიზეზი, არამედ ქვეყნის განვითარებისთვის ჩვენი ძალისხმევის გაათკეცების საფუძველი. ამაზე ვართ ჩვენ პასუხისმგებელი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე და ამ პასუხისმგებლობას ჩვენ აუცილებლად პირნათლად შევასრულებთ. გისურვეთ წარმატებას. ვუსურვებ წარმატებებს საქართველოს მომავალ პრეზიდენტს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

* * *

ამ საპრეზიდენტო კამპანიას ჩვენ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ — სუსტი კაცები ძლიერი ქალის წინააღმდეგ, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

„ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა ოპონენტებს თავიდანვე შესთავაზა ევროპული სტილის საარჩევნო კამპანიის წარმართვა. თუმცა, ოპონენტების პასუხი იყო სრულიად არაევროპული და არაევროპულთან ერთად, არაქართული. ევროპელობა და ქართველობა გულისხმობს საკუთარი და სხვისი ღირსების პატივისცემას, სიმართლის პატივისცემას, ქალის პატივისცემას. ამის საპირისპიროდ, ჩვენ ამ ორი თვის განმავლობაში გვესმოდა და ვხედავდით სრულიად უღირს კამპანიას, სიყალბეს, აგრესიასა და სიძულვილს ოპონენტების მხრიდან. მხოლოდ ძლიერ ქალბატონს, როგორიც არის ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, შეეძლო, ასეთი ღირსებით და მოთმინებით ეპასუხა მისი ოპონენტების მორალური სისუსტისთვის“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კახა კალაძე: ახალი ფურცელი ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ისტორიაში

„სალომე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებით ახალი ფურცელი ჩაიწერება ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ისტორიაში და მჯერა, ახალი ერა დაიწყება საქართველოს პოლიტიკური სპექტრის მოწყობაში“, — აცხადებს „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი კახა კალაძე.

„პირველ ქალ პრეზიდენტს ქვეყნის ისტორიაში! პირველ ზეპარტიულ პრეზიდენტს საქართველოში! შევუწყოთ ხელი ხელი დემოკრატიის განვითარებას! — მიეცი ხმა თანამედროვე საქართველოს!

„ზურგი ვაქციოთ ერთხელ და სამუდამოდ დაპირისპირებას, შეურაცხყოფას, საზოგადოების დაყოფას, არეულ წარსულს და ყველამ ერთად, ახალი ქვეყანა ავაშენოთ — სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემაზე, იმედზე და განვითარებულ მომავალზე“, — აღნიშნა კალაძემ.

ქალბატონი, რომელიც კვირას, ალბათ, გახდება პრეზიდენტი, ჩვენთვის დარჩება უბრალოდ დედად!

კანდიდატი, რომელსაც **მიმართავთ ქალბატონი სალომეთი, რომელიც კვირას, ალბათ, იქნება ქალბატონი პრეზიდენტი, ჩვენთვის დარჩება უბრალოდ დედად,** — ამის შესახებ სპორტის სასახლეში პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის შემაჯამებელ წინასაარჩევნო შეხვედრაზე მისმა შვილმა თეიმურაზ გორჯესტანმა განაცხადა.

„ქეთევანი და მე ჩამოვედით პარიზიდან და ლონდონიდან ამ კვირას, რადგან ეს არის ჩვენთვის განსაკუთრებული მომენტი. კანდიდატი, რომელსაც მიმართავთ ქალბატონი სალომეთი, რომელიც კვირას, ალბათ, იქნება ქალბატონი პრეზიდენტი, ჩვენთვის დარჩება უბრალოდ დედად. ეს მიმართვა „დედა“ არის ჩვენთვის სიმბოლო, რადგან ეს სიტყვა ჩვენთვის პირველი ინსტინქტის კავშირია ამ შორეულ საქართველოსთან. ეს არ არის შანსის შედეგი, ეს არის შედეგი, ჩვენი მშობლების დამსახურება, რომ პირველი ენა ყოფილიყო ქართული“, — განაცხადა თეიმურაზ გორჯესტანმა.

მამუკა ბახტაძე: აშშ-თან ურთიერთობა არასდროს ყოფილა ასეთ მაღალ დონეზე, არასდროს ყოფილა ასეთი ყოვლისმომცველი

ამერიკის **შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა არასდროს ყოფილა ასეთ მაღალ დონეზე და უფრო მეტიც, არასდროს ყოფილა ასეთი ყოვლისმომცველი“,** — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე ამერიკის შეერთებული შტატების უშიშროების საბჭოს მდივნის და პრეზიდენტ ტრამპის მრჩევლის, ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონის ვიზიტს საქართველოში.

როგორც მთავრობის მეთაურმა გუშინ მთავრობის სხდომის დაწყების წინ გამართულ ბრიფინგზე აღნიშნა, ჯონ ბოლტონი არის საქართველოს ერთგული მეგობარი და მას აქვს კონკრეტული ხედვა, თუ როგორ არის შესაძლებელი, კიდევ უფრო გაღრმავდეს სტრატეგიული ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის.

„ბატონ ბოლტონს სექტემბერში ვაშინგტონში შევხვდი და ჩვენ გვქონდა არსებითი საუბარი ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების პერსპექტივებსა და რეგიონში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ამ ვიზიტის შედეგად ერთობლივი მოქმედების გეგმა გახდება კიდევ უფრო კონკრეტული და ამავე დროს უფრო კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული. ჯონ ბოლტონი საქართველოს დღეს ეწვევა.

პოლონეთის სეიმის რეზოლუცია რუსეთის აგრესიის თაობაზე

პოლონეთის **სეიმის რეზოლუცია არის მორიგი დემონსტრირება იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არასდროს შეეგუება რუსეთის აგრესიას“,** — ასეთი შეფასება მისცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ პოლონეთის სეიმის მიერ რუსეთ-საქართველოს ომის 10 წელთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციას.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს აქვს პარტნიორების, მეგობრების და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის მტკიცე მხარდაჭერა ამ საკითხში.

„მნიშვნელოვანია, რომ სეიმის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ასევე დაგმობილია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, მათ შორის მოსახლეობის გატაცების, მკვლელობის და წამების შემთხვევები. პოლონეთის სეიმის რეზოლუცია არის მორიგი დემონსტრირება იმისა რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არასდროს შეეგუება რუსეთის აგრესიას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ჩვენს პოლონელ მეგობრებს ამ ძალიან მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

საქართველო აშშ-ის ელჩად ბრიჯიტ ბრინკის კანდიდატურას ბლოკავს?

არასერიოზულია **საუბარი, თითქოს საქართველო აშშ-ის ელჩად ბრიჯიტ ბრინკის კანდიდატურას ბლოკავს,** — ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვაზე განაცხადა.

„გირჩევთ, შედით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საიტზე, სადაც არის სხვადასხვა ქვეყანაში ნომინირებული ელჩების სრული სია. ასევე დასახელებულია ქვეყნები, სადაც ადგილები არის ვაკანტური. როგორ წარმოგიდგენიათ ეს ყველაფერი იმ ფონზე,

როცა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან ასეთი მაღალი დონის ურთიერთობა აქვს. სხვა ქვეყნების ელჩების შერჩევის პროცესში საქართველო მონაწილეობას არ იღებს. ეს არის სპეკულაციები და არასერიოზულია ამაზე საუბარი“, — განაცხადა დავით ზალკალიანმა.

გონიერებამ არ უნდა გვიღალატოს!

რა ვქნათ? ვის მივცეთ ხმა?

ამ ჩემს რეპლიკა-წერილს ძველი ქართული სიბრძნის — მოყვარეს პირში უძრახეს შეგონებით ვწერ...

საქართველოს პოლიტიკური სივრცე კვლავ „ნაცმოძრაობის“ აფთრების სათარეშო გახდა. სისხლის სამართლის დამნაშავეები „ნაცმოძრაობიდან“ დღეს ხელისუფლებაში ფეხმოკიდებული ბოკერიები, უგულავები, ვაშაძეები, ბარამიძეები (გვარების ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს) გვმოძღვრავენ, ჭკუას გვარიგებენ, გონებას გვიწამლავენ. ყველაფერ ეროვნულის წამბილწავ, უზნეო ხროვას ნამდვილი ომი აქვს გამოცხადებული ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ.

საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მხოლოდ ზურაბიშვილი ლაპარაკობს სიმართლეს, ამიტომ არის სალომე ყველაზე ღირსეული კანდიდატი

საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მხოლოდ ზურაბიშვილი ლაპარაკობს სიმართლეს, ამიტომ არის სალომე ყველაზე ღირსეული კანდიდატი. უნაკლო არავინაა, ყველა ჩვენგანს რაღაც ხინჯი გვაქვს, რომელსაც, უმეტესად ვერ ვამჩნევთ. ნაკლს, რა თქმა უნდა, ქალბატონ სალომესაც გამოვუჩხრეკთ, მაგრამ იქნებ ვინმემ დამისახელოს პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი, რომელიც ისეთი კრისტალური ადამიანია, რომ ანგელოზის ფრთებიღა აკლია?

ომარ მარგველაშვილი და სალომე ზურაბიშვილი. 1984 წელი

სამი დღე რჩება საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებამდე, 28 ოქტომბერს ხმა უნდა მივცეთ პიროვნებას, რომელიც ღირსი იქნება, ატაროს ჩვენი ქვეყნის პირველი პირის უმაღლესი წოდება. ეს რეპლიკა სწორედ იმ პასუხისმგებლობამ დამაწერინა, რომელიც განსაკუთრებით გვიმძაფრდება, როცა საარჩევნო ყუთთან მივდივართ.

რა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ? ვის მივცეთ ხმა? უწინარეს ყოვლისა, ჩემი აზრით, უნდა ჩამოვყალიბდეთ, რამდენად მართლები ვართ საკუთარი თავის, საკუთარი სინდისის წინაშე. მე სიმართლე მალაპარაკებს. საჯაროდ გამომაქვს ჩემი პოზიცია. რამდენიმე წლის წინათ ჩემი მეგობრის, დიდი ქართველი კლასიკოსის **ჭაბუა ამირეჯიბის** ხსოვნის სუფრაზე მაშინდელი პრემიერ-მინისტრის **ბიძინა ივანიშვილის** პირისპირ აღმოვჩნდი. ჩემ გვერდით **ჯანსუღ ჩარკვიანი** და **ლაშა თაბუკაშვილი** ისხდნენ. მაშინ ბატონ ბიძინას ვუთხარი, რომ ქართველი ხალხი უაღრესად მადლიერია მისი, ჯოჯოხეთური და სისხლიანი სააკაშვილის რეჟიმი რომ მოგვაცილა და ერი სრულ დეგრადაციასა და იავარქმნას გადაარჩინა, მაგრამ, **თუ საქართველოში სამართლიანობა არ აღდგება, თუ არ დაისჯებიან და კანონის წინაშე მკაცრად არ აგებენ პასუხს „ნაცმოძრაობის“ ლიდერები, რომლებსაც საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მიმართ უამრავი უმძიმესი დანაშაული აქვთ ჩადენილი, მაშინ ყველა სიკეთე წყალში ჩაიყრება და ისეთ ვითარებაში აღმოვჩნდებით, რომელიც თქვენც და საქართველოსაც დაღუპავს-მეთქი.**

ყურადღებით მომისმინა, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ პასუხად მივიღე ზოგადი ფრაზები იმ პრინციპებზე, რომლებსაც ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციები და თანამედროვე დემოკრატია ეფუძნება.

რაც მოგვიტანა საპრეზიდენტო ვადის გაგრძელებამ ერთი წლით, რეჟიმის საშინელებათა ამსახველი ჩანაწერების განადგურებამ, ძალისმიერი მეთოდით ანტიდისკრიმინაციული კანონის ერთხმად მიღებამ ან კოჰაბიტაციამ, ჩვენ ყველანი ვხედავთ — მტერსა და ორგულსაც არ უსურვებს კაცი!

„რუსთავი-2“, რომელიც წამლავს საზოგადოებას, თქვენი უნიათობით არ გადაეცა კანონიერ მფლობელს;

უმუშევრობა ვერ მოსპეთ, თუ ეს სტატისტიკური მაჩვენებელი ოდნავ გაუმჯობესდა, მხოლოდ უვიზო რეჟიმის ხარჯზე;

ქვეყნისა და ხალხის მოძულე არასამთავრობოებს ხმა ვერ ჩააწყვეტინეთ და ვერ ალაგმეთ გარეწარი **ზურაბ ჯაფარიძე;**

ვერ აღკვეთეთ აღვირახსნილი მაღალმოხელეთა პრემიები და დანამატები, მაშინ როცა მიზერული პენსია ხანდაზმულებსა და უნარშეზღუდულებს წამლების შესაძენადაც არ ჰყოფნით.

რუსეთის გარდა აფხაზეთს და ოსეთს ვერავინ ვერ დაგვიბრუნებს, თქვენ კი ერთი ნაბიჯიც არ გადაგიდგამთ ექვსი წლის მანძილზე ამ უპირველესი პრობლემის მოსაგვარებლად და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად.

ამ უმოქმედობის გამო თქვენი მხარდამჭერებიდან არცთუ ცოტა მხარს აღარ გიჭერთ და გადადის სამარცხვინო კანდიდატების მხარეს.

მარიხუანის ლეგალიზაცია და ამ გზით ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესება რაღამ მოგაფიქრებინათ, თქვე დალოცვილებო?!

ადამიანები შეაღონა თქვენი ხეების წინ და უკან ტარებამ ხან მატარებლით, ხან გემით, ხან ტრაილერებით, ხან ლაფეტებით.

საქართველოს პოლიტიკური სივრცე კვლავ „ნაცმოძრაობის“ აფთრების სათარეშო გახდა. სისხლის სამართლის დამნაშავეები „ნაცმოძრაობიდან“ დღეს ხელისუფლებაში ფეხმოკიდებული ბოკერიები, უგულავები, ვაშაძეები, ბარამიძეები (გვარების ჩამოთვლა შეიძლება გაგრძელდეს) გვმოძღვრავენ, ჭკუას გვარიგებენ, გონებას გვიწამლავენ. ყველაფერ ეროვნულის წამბილწავ, ამორალურ ხროვას ნამდვილი ომი აქვს გამოცხადებული ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ. გნებავთ, ჰიბრიდული ომი უწოდეთ, გნებავთ, ინფორმაციული: აშკარა და დაუფარავი ცილისწამება, შეთითხნილი ბრალდებები, დამონტაჟებული, ფალსიფიცირებული აუდიოჩანაწერები და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ყველაფერი, რაც გაიძვერობასთან, უნამუსობასთან, არაკაცობასთან ასოცირდება, რაც სანაგვე ყუთიდან ამოუკრეფიათ და ყარს, მათი „იდეური“ შეიარაღების არსენალშია.

წაბილწა ტელესივრცე, როგორც ხალხში მოიხსენიებენ, „ცრუსთავი-2“-მა და მისმა გარეწარმა დირექტორმა, ბუკიოტმა **ნიკა გვარამიამ,** რომელმაც „მიშას ტელევიზიაში“ „უბორნიის პოეტების“ ის ლექსიკა დაამკვიდრა, რომელიც „საბას“ პრემიის ზოგიერთ უცვლელ ლაურეატს ამარჯვებინებს ლიტერატურულ კონკურსებში.

რაც დათესეთ, იმას იმკით. ახია თქვენზე, ეს ნაძირალები თავზე რომ დაისვით, ქვეყანა და ხალხი კი დააბეჩავეთ!

სასამართლოებში, პროკურატურაში, პარლამენტში ისევ ნაცების კადრები სხედან.

საქართველოს მთავრობაში კი მინისტრებს ისე იცვლით, როგორც ხელთათმანებს.

როცა საკადრო პოლიტიკა ისეთივე დევალვირებულია, როგორც ჩვენი ლარი, როცა უმრავლესობას დეპუტატად ჰყავს ისეთი ოდიოზური ფიგურები, როგორებიც არიან **ენძელა, გუგული** და სხვა მრავალი, ან სახალხო დამცველი **ლომჯარია,** რომელიც გაჭირვებულ ადამიანებს კი არ იცავს, არამედ გამამლებულ ფემინისტებსა და ნეოლიბერალებს, ეს დანაშაულებრივი შეცდომების მთელი კასკადია.

ერთმა ცნობილმა მეცნიერმა თქვა: **„უბედურია ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერი ნათელია“. დააკვირდით ქართულ ტელევიზიებს, მოუსმინეთ ჩვენს ჭკუისდამრიგებლებს და გაოცდებით — რამდენი ყოვლისმცოდნე გვყოლია თვითნასწავლი ექსპერტებისა და პოლიტოლოგების სახით. ქვეყანაში ბევრი პრობლემაა, მაგრამ ხალხს, უპირველესად, სამშობლოსა და შვილების მომავალი აწუხებს.**

რატომღაც დღესაც სადავოა, ახალარჩეული პრეზიდენტი უნდა შევიდეს თუ არა პრეზიდენტის სასახლეში. სასაცილოა და საბრალოა ის, ვინც ამას სადავოდ ხდის — მითხარით, აბა, ვინ უნდა შევიდეს: „შაპიტო“ თუ პრეზიდენტი? ამ სასახლის რეკონსტრუქცია, გადაკეთება ან სხვა ფუნქციის მინიჭება კი სრული უგუნურებაა.

არჩევნების თემას დავუბრუნდები და ამით დავამთავრებ.

უზრდელობის, უტიფრობის, უხამსობის და, საერთოდ, ზნეობის ყველა ზღვარს გადააბიჯა საპრეზიდენტო სუბიექტებისა და მათი მხარდამჭერების წინასაარჩევნო პროპაგანდისტულმა ომმა. განსაკუთრებით სამარცხვინოა, როცა პრეზიდენტობის კანდიდატ ქალბატონს **სალომე ზურაბიშვილს** ისე უტევენ, რისი წარმოდგენა აქამდე შეუძლებელი იყო საქართველოში, სადაც ოდითგანვე აღზევებული იყო ქალის, დედის კულტი.

ქალბატონ სალომეს 1984 წლიდან ვიცნობ, როცა იგი აშშ-დან თბილისში ჩამოვიდა პირველად გაეროს გასვლით საერთაშორისო კონფერენციაში (რომელიც პირველად გაიმართა საბჭოთა კავშირში) მონაწილეობისთვის. მაშინ მე კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტს მთავრობის დავალებით ვხელმძღვანელობდი. ეს ღონისძიება უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ. მას შემდეგ ყურადღებით თვალს ვადევნებდი მის მოღვაწეობას დიპლომატიურ ასპარეზზე, სადაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ხოლო ის ნაბიჯები, რომლებიც მან უკვე ჩვენ თვალწინ გადადგა, როცა საქართველოში ელჩად იყო მოვლინებული, შემდეგ კი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა, საყოველთაოდ ცნობლია და ქებას იმსახურებს.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის მხოლოდ ზურაბიშვილი ლაპარაკობს სიმართლეს, ამიტომ არის სალომე ყველაზე ღირსეული კანდიდატი.

უნაკლო არავინაა, ყველა ჩვენგანს რაღაც ხინჯი გვაქვს, რომელსაც, უმეტესად ვერ ვამჩნევთ. ნაკლს, რა თქმა უნდა, ქალბატონ სალომესაც გამოვუჩხრეკთ, მაგრამ იქნებ ვინმემ დამისახელოს პრეზიდენტობის ერთი კანდიდატი, რომელიც ისეთი კრისტალური ადამიანია, რომ ანგელოზის ფრთებიღა აკლია?

ამიტომ მე ხმას ვაძლევ ქალბატონ სალომეს და ყველამ ისე გამოიყენოს თავისი კონსტიტუციური უფლება, როგორც სინდისი უკარნახებს. ეგებ, მოვახერხოთ და, რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს ავაშენებინოთ.

ომარ მარგველაშვილი,
საქართველოსა და რუსეთის დამსახურებული ინჟინერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამხრეთ კორეასთან

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურსა“ და სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. აღსანიშნავია, რომ ეს საქართველოსა და სამხრეთ კორეას შორის ამ სფეროში გაფორმებული უკვე მეორე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმია.

დოკუმენტი ქვეყნებს შორის საზღვაო კარტოგრაფიისა და ბათიმეტრიული კვლევების ერთობლივ წარმოებას, სამხრეთ კორეის მხრიდან საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის თანამშრომელთა ტექნიკურ მხარდაჭერას, პერსონალის ურთიერთგაცვლას, სასწავლო ტრენინგების უზრუნველყოფას და სამუშაო პრაქტიკის გაზიარებას ითვალისწინებს.

მხარეების მიერ მემორანდუმზე ხელმოწერის ცერემონიალი სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტოს ცენტრალურ ოფისში, ქალაქ ბუსანში შედგა, ღონისძიება აქტიურად შუქდება კორეის მედიის საშუალებებით.

მიმდინარე წლის მაისში საქართველოსა და სამხრეთ კორეის საზღვაო საქმეთა და უსაფრთხოების ბიუროს შორის უკვე გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც ქვეყნებს შორის სანავიგაციო დამხმარე საშუალებების კუთხით პრაქტიკის გაზიარებას და ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით მხარეები უკვე აქტიურად თანამშრომლობენ.

როგორ შეაფასებს ისტორია 2008 წლის აგვისტოს ომს?!

ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ვერ შეძლო აგვისტოს ომის შესახებ ერთიანი პოზიციის შემუშავება. როგორც აღმოჩნდა, ომის პოლიტიკური შეფასებები არა მარტო წინააღმდეგობრივია, არამედ არასამართლიანიც. პრობლემის ობიექტური შესწავლა-შეფასება მხოლოდ საისტორიო მეცნიერებას შეუძლია. შევეცდებით, მოკლედ და გულწრფელად წარმოვადგინოთ 2008 წლის ომის ისტორიოგრაფიული ხედვა.

1. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები და აქედან გამომდინარე სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასებები ხშირად არასამართლიანია. ისინი ითვალისწინებენ ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებს, პატარა, სუსტი ქვეყნების ინტერესების ხარჯზე. ჩვენს შემთხვევაში, ტალიავინის კომისიამ საკმარისად არ გაითვალისწინა ისტორიული კონტექსტი, არ დაინტერესდა ოსურ-ქართული ურთიერთობების წარსულით, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის გარემოებებით. საისტორიო მეცნიერება ამგვარ მოვლენებს ყურადღების გარეშე ვერ დატოვებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ობიექტურადაა დასაბუთებული, რომ ეს ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა, საბჭოთა იმპერიის ძალდატანებით და არ ითვალისწინებდა რეგიონის მოსახლეობის ინტერესებს და სხვა რიგ გარემოებებს;

2. იგივე მოხდა 1992 წლის 24 ივნისს, როცა რუსეთის ფედერაციის ძალდატანებით, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება იძულებული გახდა, ხელი მოეწერა სოჭის შეთანხმების კაბალურ პირობებზე. ამ აქტის წყალობით, დაკანონდა ყოფილი მეტროპოლიის შეიარაღებული ძალებისთვის „სამშვიდობო“ სტატუსის მინიჭება. საისტორიო მეცნიერება დადებითად ვერ შეაფასებს უსამართლო აქტს, რომლის ძალითაც ყოფილმა მეტროპოლიამ, ფაქტობრივად, უკვე ამ დროიდან მიიტაცა ცხინვალის რეგიონი. ამ დანაშაულებრივ პროცესს გაერთიანებულმა ერების ორგანიზაციამ ხელი ვერ შეუშალა და ვერ დაიცვა თავისი წევრი-ქვეყანა ფაქტობრივი აგრესიისაგან;

3. ისე გამოვიდა რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული გამთლიანების ინტერესს წინ აღუდგა საერთაშორისო სამართალი. ეს იყო თითქმის გადაულახავი ბარიერი, რუსეთის ცისფერჩაფხუტიანების სახით. ამიტომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით წამოწყებული ნებისმიერი სამხედრო აქცია სეპარატისტული რეგიონების ტერიტორიაზე, წინასწარვე შეფასდებოდა, როგორც საერთაშორისო ნორმის დარღვევა.

4. ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ მხარდამჭერი დასავლეთის სახელმწიფოები რეალურად დაეხმარებოდნენ საქართველოს. პირიქით, უკანასკნელ წლებში, რუსეთსა და დასავლეთს შორის ჩამოყალიბდა ურთიერთობის თავისებური — ურთიერთკომპრომისული ფორმულა, როდესაც რუსეთი კარგავდა კონტროლს რომელიმე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაზე, კომპენსაციის სახით, ხელთ იგდებდა დაკარგული ქვეყნის გარკვეულ ტერიტორიას. ასე მოხდა საქართველოს, უკრაინის თუ მოლდოვის შემთხვევებში (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ყირიმი, დნესტრისპირეთი) და დასავლეთი თითქოს ეგუებოდა ამ ტერიტორიების ოკუპაციებს რუსეთის მიერ. შეგვიძლია კიდეც ვუწოდოთ ამგვარ მოვლენას და ტერიტორიებს — კომპენსაციური რეგიონები.

5. ასეთ ვითარებაში, საქართველოს წინა ხელისუფლების წინაშე ორი გზა იყო: ან უნდა შეგუებოდა უკვე ფაქტობრივად დაკარგული რეგიონების, ამ შემთხვევაში — ცხინვალის რეგიონის დაკარგვის ფაქტს ან წინააღმდეგობა გაეწია ამ უკუღმართობისათვის. წინააღმდეგობის გაწევის სამართლებრივი გზა ჩიხში იყო შესული. საქართველოს ხელისუფლებების იურისდიქცია უკვე 15-16 წელია აღარ ვრცელდებოდა ცხინვალის რეგიონზე. ასეთ ვითარებაში მოხდა ის, რაც მოხდა.

6. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა და სხვა გარემოებებისა, რომელიც ჩვენ არ აღგვინიშნავს, ტალიავინის კომისიას არ დაუდასტურებია რუსეთის ბრალდება, რომ საქართველომ დაიწყო ომი. ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნის მიხედვით, „2008 წლის ღამით ქართული შეიარაღებული ძალების მიერ ცხინვალის დაბომბვით დაიწყო ფართომასშტაბიანი შეიარაღებული კონფლიქტი საქართველოში, რაც იყო კულმინაცია იმ მუდმივი დაძაბულობისა, პროვოკაციებისა და ინციდენტებისა, რომელთაც ადგილი ჰქონდა დიდი ხნის განმავლობაში“. კომისიის ტერმინოლოგიით — კონფლიქტი იყო და არა — ომი;

7. ისტორია უდავოდ აკისრებს მაშინდელ ხელისუფლებას პასუხისმგებლობას, „ფართომასშტაბიანი კონფლიქტის“ დაწყების გამო, მაგრამ მიუხედავად ამისა, საისტორიო მეცნიერება ვერ შეაფასებს მაშინდელი ხელისუფლების ქმედებას, როგორც — ან დანაშაულს, ან ღალატს, ან კიდევ მით უმეტეს, „საკუთარი მოძალაძეების“ დაბომბვას. ისტორიოგრაფიამ შეიძლება შეაფასოს ხელისუფლების ეს ნაბიჯი შეცდომად და დამარცხებად. გათვლა — რომ რუსეთი რევანშს ვეღარ შეძლებდა, იყო მცდარი. საქართველოს ისტორიის მანძილზე, მრავალ მეფეს, მხედართმთავარს, პოლიტიკურ მოღვაწეს გადაუდგამს იძულებითი და არარეალისტური ნაბიჯი, რადგან რეალური გამოსავალი ხშირად არც ჩანდა. სტატიის მცირე მოცულობა არ იძლევა საშუალებას, რომ მრავალი ისტორიული მაგალითი მოვიყვანოთ აღნიშნული აზრის დასასაბუთებლად;

8. პოლიტიკოსებს ხშირად ვიწრო-კონკრეტული ინტერესები ამოძრავებთ. მეცნიერი-ისტორიკოსი ვალდებულია, ერთი მხრივ, მეცნიერული პრინციპებით იხელმძღვანელოს და, მეორე მხრივ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები არ შელახოს. ის ფორმულა, რომ მაშინდელი ხელისუფლების მიერ ომის დაწყება არ ნიშნავს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, არადამაჯერებელია. საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში არსად არ იწერება, რომ ომი რომელიმე პრეზიდენტმა დაიწყო. იქ იწერება რომ ომი სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში საქართველომ დაიწყო. სასაცილოა, რომ საქართველოს რაიმე ეშველება, თუ ომის დაწყებას, მაშინდელ პრეზიდენტს დავაბრალებთ. პრეზიდენტმა ომი დაიწყო, იმას ნიშნავს, რომ ომი საქართველომ დაიწყო. კი მაგრამ, რა დაგვიშავა ჩვენმა სადღეგრძელებელმა სამშობლომ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ომის დაწყებაში ვდებთ ბრალს, ისიც ჩვენი საცოდავი ყოველდღიური წვრილმანი ინტერესების გულისთვის;

9. პირიქით, ქ-ნ ტალიავინის საერთაშორისო მისია რუსეთს სდებს ბრალს უფრო დიდმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების გაჩაღებაში, ვიდრე „კონფლიქტია“. ისეთი უაღრესად კორექტული და მორიდებულიც კი, საერთაშორისო დოკუმენტი, როგორიც ტალიავინის კომისიის დასკვნაა, რუსეთის არმიის მოქმედებას საქართველოში ორ ფაზად ყოფს. პირველი ფაზა იყო „დაუყოვნებელი მოქმედება რუსული სამშვიდობოების დასაცავად“. ოპერაციის ეს ფაზა მისიამ გაამართლა და კანონიერად სცნო. მეორე ფაზა იყო „რუსული შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოში ღრმად შემოჭრა, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრებიდან შორს“. მეორე ფაზაში რუსეთის მოქმედება „ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, საქართველოს სამხედრო ძალები მოქმედებდნენ კანონიერი თავდაცვის ფარგლებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის თანახმად“. საისტორიო მეცნიერების ენით, სწორედ ეს მეორე ფაზა იყო რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ომისა და აგრესის დაწყება. აქედან დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც მანამდე კონფლიქტი იყო;

10. ცხინვალის რეგიონში განლაგებული ე. წ. სამშვიდობო და ოსური ფორმირებების პოზიციების დაბომბვით, ქართულ მხარეს რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ არ დაუწყია სამხედრო მოქმედება. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ დაურღვევიათ რუსეთის სახელმწიფო საზღვარი და არ შეჭრილან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. ქართული შეიარაღებული ძალების „ფართო მასშტაბიანი“ სამხედრო ოპერაცია მიმართული იყო ცხინვალსა და მის შემოგარენში განლაგებული რუსულ-ოსური ფორმირებების წინააღმდეგ და იყო, არა რუსეთის სახელმწიფოს ხელყოფა, არამედ საერთაშორისო სტატუსის მქონე ძალების წინააღმდეგ ქმედება ანუ საერთაშორისო ნორმის დარღვევა, რაც აისახა კიდეც ტალიავინის მისიის ანგარიშში;

11. რუსეთის მხარე ირწმუნება, რომ ყველაფერი გამოიწვია ცხინვალის დაბომბვამ. საერთაშორისო მისიის პოზიცია რადიკალურად განსხვავდება ამ ტენდენციური პოზიციისაგან. მისიის ანგარიშში ვკითხულობთ: „ეს დასკვნა გვიჩვენებს, რომ კონფლიქტის წარმოშობის რაიმე ახსნა არ შეიძლება ფოკუსირებული იყოს მხოლოდ ცხინვალზე სამხედრო თავდასხმაზე 7-8 აგვისტოს და იმაზე, თუ რა განვითარება მოჰყვა შემდგომში საქართველოს იერიშს სამხრეთ ოსეთში, და ასევე რუსეთის სამხედრო მოქმედებაზე. მოვლენების განვითარება მოიცავს მრავალ წელს მანამდე და ზოგადად დაძაბულობას თვეებისა და კვირების განმავლობაში, რომელიც წინ უძღოდა საომარი მოქმედებების დაწყებას... ასევე უნდა გავითვალისწინოთ დიდი სახელმწიფოების იძულებითი პოლიტიკისა და დიპლომატიის გავლენა პატარა და ურჩი მეზობლების მიმართ“, — ეს უკანასკნელი თეზისი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

ისტორიული მეცნიერებისათვის გადამწყვეტი და ამოსავალია ისტორიული კონტექსტი, ე. ი. დიდი პერიოდი, რომელიც მოიცავს პრობლემის პროცესის განვითარებას, მისი საწყისი ფაზიდან უკანასკნელ დრომდე. მას არ აინტერესებს პოლიტიკოსთა დღიური ინტერესები. პოლიტიკოსები, ხელისუფლებები მოდიან და მიდიან, ხოლო მეცნიერული ობიექტურობა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესი რჩება, როგორც უმაღლესი პოსტულატები — მოვლენების შესაფასებლად.

დიმიტრი შველიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

აგვისტოს ომის დროს მის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული დაუსჯელი არ დარჩება!

სისლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რეგიონული კონფერენციის ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ჰააგის სასამართლოს ვიცე-პრეზიდენტსა და განმწესრიგებელს შეხვდა. თეა წულუკიანი რობერტ ფრემრსა და პიტერ ლუისს ჰააგის სასამართლოსთან საქართველოს მთავრობის თანამშრომლობის შესახებ ესაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ ორმხრივი ურთიერთობები კიდევ უფრო გამყარდება.

„ნება მომეცით, კიდევ ერთხელ განვაცხადო — საქართველოს, ქართველ ხალხს დიდი იმედი აქვს ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურატურის გამოძიებისა. ჩვენ ველით, რომ ქართველების წინააღმდეგ აგვისტოს ომის დროს ჩადენილი დანაშაულები გამოუძიებელი არ დარჩება და სამართლიანობა გაიმარჯვებს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გავლენიანი და ძლიერია დანაშაულის ჩამდენი მხარე“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართული მხარე მზადაა, ითანამშრომლოს სასამართლოსთან მსხვერპლთა ინტერესების დასაცავად და მართლმსაჯულების აღსადგენად.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობისა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სხვადასხვა ორგანოსთან. თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ ჰააგის სასამართლოს მიერ რამდენიმე წლის წინათ წამოყენებული თხოვნის შესაბამისად, 2019 წლის დასაწყისში ხელი მოეწერება დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, ჰააგის სასამართლოს მიერ მსჯავრდებული რამდენიმე პირი სასჯელს საქართველოს ციხეებშიც მოიხდის. მისი განცხადებით, პენიტენციური სისტემის იუსტიციის სამინისტროსთან შეერთების შემდეგ ამისათვის ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს.

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რეგიონული კონფერენცია თბილისში მიმდინარეობს. კონფერენციის საქართველოში ჩატარება საერთაშორისო სასამართლოს ინიციატივაა და მისი საფუძველი ჰააგის სასამართლოსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის წარმატებული თანამშრომლობაა.

ეს ამბობდა გაიუს იულიუს კეისარი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

საგულისყურო ამონარიდები „გალური ომის ჩანაწერებიდან“

„გალური ომის ჩანაწერები“ იულიუს კეისრის მიერ 7 წიგნად დაწერილი თხზულებაა, რომელშიც მოთხრობილია ჩვ. ერამდე 58-50 წლების სამხედრო ამბები. კეისარმა საოცრად ზედმიწევნით, ამასთანავე, სიტყვაძუნწად აღწერა გეოგრაფია, იმჟამინდელი ყოფა და, ცხადია, თავისი დროის სამხედრო სტრატეგია. კეისარი თხზულებაში გამოყვანილია როგორც მესამე პირი, რაც შენარჩუნებულია ქვემოთ მოყვანილ ამონარიდებში.

* * *

სახელმწიფო გახდა ბევრად უფრორე მაღალი წესრიგის, ზეკლანური სოციალური გამოგონება. უფრორე ხშირად ის იყო სამეფო, მაგრამ შეიძლებოდა რომ გადაქცეულიყო მონათმფლობელურ პოლისად, ბევრად უფრორე მეტი ანდა ბევრად უფრორე ნაკლები რესპუბლიკური წყობილებით. ბერძენთ აუცილებლად მიაჩნდათ, რომ ესეგვარი მოქალაქენი იმაზე მეტნი არ უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე ქალაქის ყოვლის უფრორე დიდი მოედანი დაიტევდა, რათა სუყველას ერთმანეთი სახით სცნობოდა. ერთმანეთის ნახვა და მოსმენა შესძლებოდათ საერთო კრებაზე.

* * *

ლეგიონერთაგან 10 დღეში მდინარე რაინზე ოთხასი მეტრი სიგრძისა და ოთხი მეტრი სიგანის ხიდი აიგო; ჯერეთ, რასაკვირველია, მდინარე დაასვინაღრეს, ანუ სიღრმე გაუსინჯეს და არც დინების მოსინჯვა უგულმავიწყიათ.

* * *

მთელ თავიანთ ჯარს ლეგიონერთ ოთხთვალები და ჯაგვა-ფორნები გარშემოარტყეს, რათა არცვის გაქცევის იმედი არ გასჩენოდა. ზედ კი დიაცნი დასხეს, რომელნიც ხელებგაშვერილნი ევედრებოდნენ ბრძოლაში მიმავალთ, რომაელთა მონებად ნუ გაგვხდითო.

* * *

დიდად ცდებიან ისინი, ვინც ომში მარტოოდენ წარმატების მოლოდინშია.

* * *

მტრულად განწყობილი ადამიანები არცროდის ხელს არ აიღებენ ვნებასა და ძალმომრეობაზედ.

* * *

სპათაგანთა, ანუ ჯარისკაცთა საქმე არ არის იმის კითხვა თუ ფიქრი, სად და რა მიზნით მიჰყავთ.

* * *

რომაელნი საჭიროდ არ მიიჩნევენ უმიზეზო შიშსა და ზარტეხას.

* * *

უკვდავნი ღმერთნი ვისაც დანაშაულის დასჯას უპირებენ, დიდ კეთილდღეობასა და ხანგრძლივ დაუსჯელობას უგანაჩენებენ ხოლმე, რა არის ბედ-იღბლის ცვალებადობისა გამო ცოდვის შვილთ კიდევ უფრორე დაუმძიმდეთ მწუხარება.

* * *

რომაელნი უკვე მიეჩვივნენ, რომ დამარცხებულთ გაუსწორდნენ არა სხვათა მითითებით, არამედ საკუთარი შეხედულებისამებრ.

* * *

კეისარმა ყოველივე ერთბაშად უნდა მოიღონისძიოს: ააფრიალოს დროშა (რაც ბრძოლის დაწყების ნიშანია), აახმიანოს ბუკი, გამოიხმოს ჯარისკაცნი სასანგრო სამუშაოთაგან, დააბრუნოს ისინი, ვინც ძალიან ან არცთუ შორს წავიდა სურსათ-სანოვაგისთვის, ჩააყენოს სუყოველნი საბრძოლო მწყობრში, გაამხნეოს ჯარისკაცნი და მიმართოს საერთო ნიშანს შეტევაზე გადასასვლელად.

* * *

სამხედრო იღბლის რყევა გარდაუვალია.

* * *

ბრძოლა გასრულდა ნერვიიების ტომის გასაგისის სრული განადგურებით, ის კი არა, იმათი თვით სახსენებელიც მოისპო.

* * *

შემდგომი ბრძოლა განსაკუთრებულად დამოკიდებული იყო პირად ხასიათზე, რის გამოც ჩვენთა ჯარისკაცთ ბევრად მეტი უპირატესობა ჰქონდათ, და ისინი საგრობდნენ რა კეისრისა და მთელი ჯარის თვალწინ და ცხადია, გმირობის არცრა რამდენადმე მნიშვნელოვანი მოვლენა შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა.

* * *

ღვინო ადამიანს ანებივრებს და გაჭირვების ატანის მხრივ უუნაროსა ხდის.

* * *

მდინარის გადასასვლელის გემით წიაღსვლას კეისარი მთლად უხიფათოდ და თავისი სახელისა და რომაელი ხალხის ღირსების შესაფერისად არ მიიჩნევდა (ამიტომაც გადაწყდა ხიდის აგება).

* * *

გადახტით, სპათაგანნო, ჯარისკაცნო, უკეთუ არა გსურთ არწივის მტრის ხელში ჩავარდნა; მე კი ყოველ შემთხვევაში ჩემს მოვალეობას აღვასრულებ რესპუბლიკისა და იმპერატორის წინაშე.

* * *

კეისარი ძალზედ მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, რომ გალთა თვალში სამომავლოდ მხარი დაეჭირა იტალიის სამხედრო სახსარ-შესაძლებლობაზედ მაღალი მოსაზრებისთვის, რამეთუ ეს სახსარ-შესაძლებლობა არა მარტო იმის საშუალებას გვაძლევდა, რომ სწრაფად შეგვევსო ომში განცდილი ზარალი, არამედ ახალი ძალებით უმრავალჯერეს გაგვერიცხვმრავლებინა ჯარი.

* * *

ზაფხულობით მომავალი ომისთვის უნდა ვემზადებოდეთ და არა უკვე შედეგით ვტკბებოდეთ.

* * *

ჩვენს ღირსებას არ ეკადრება იმის შიში, რომ ჩვენი უზარმაზარი ძალებით თავს დავესხით რომელსამე არცრის მაქნის რაზმს, რომელიც თან გარბის და თან ტვირთაკიდებული ცხრაფად იკეცება წელში.

* * *

ყოვლის უფრორე მეტად დრუიდნი ცდილობენ, რომ განიმტკიცონ სულის უკვდავების რწმენა: სული, იმათი აზრით, სიკვდილის შემდგომ ერთი სხეულიდან მეორეში გადადის; ისინი ჰგონებენ, ეს რწმენა სიკვდილის შიშს აქრობს და სიმამაცეს აღძრავსო.

(გაგრძელება იქნება).

გაიუს იულიუსის ცნობილი გამონათქვამები

მე ბუნების საზომითაც კარგა დიდხანს ვიცოცხლე და დიდების საზომითაც.

* * *

ჩემი არჩევანი გზის ძალისმიერი გაკაფვა იყო.

* * *

ძლევა ლეგიონთა შემართებაზე ჰკიდია.

* * *

მივედი, ვნახე, ვძლიე (Veni, vedi, vici) იულიუს კეისრის სიტყვები, რომელი სიტყვებითაც მიმართა მან სენატს მეფე ფარნაკზე გამარჯვების შემდეგ).

* * *

ბევრად ადვილად მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, ნებაყოფლობით რომ მიდიან სიკვდილზე, ვიდრე ისეთები, მოთმინებით რომ იტანენ ტკივილს.

* * *

ბედ-იღბალი ყოველივეში დიდ როლს თამაშობს, მეტადრე ომის საქმეებში.

* * *

ვინც ყველაფრის მიღებაშია დარწმუნებული, ნახევარს არ სჯერდება. რესპუბლიკა არც არარაა, ცარიელი სახელია ორეულისა და იერსახის უქონლად.

* * *

აზმა-დიდებას რაგინდარა ფასად უნდა ვიხვეჭდეთ.

* * *

მხედართმთავრის, ანუ სპათართმოძღვრის ამოცანაა — იმდენადვე გონებით იმარჯვებდეს, რამდენადაც იარაღით.

* * *

ვერავითარი ძლევაი მტრისა ვერ მოგვიტანს იმდენს, რაოდენის წართმევაც ერთ დამარცხებას ძალუძს.

* * *

როცა სიტყვა იმაზე ჩამოვარდა, თუ როგორი სიკვდილია ყოვლის უკეთესი, კეისარმა ყველაზე უწინ შეჰყვირა: „ანაზდეულიო!“

* * *

არც ისე ადვილი რამ არის მმართებლის პირველი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაწევა, როგორც მერმე მეორედან ბოლომდე ჩაცურება.

* * *

ჯერეთ არცრა ღირსსახსოვარი არა მომიღონისძიებია რა, არადა, ჩემს ასაკში ალექსანდრემ უკვე მსოფლიო დაიპყრო! (თანახმად სვეტონიუსისა, ჩვ. ერამდე 67 წელს (ე.ი. 33 წლისა) კეისარი პრეტორის დავალებით ესპანეთის ქალაქ ჰადესში ჩავიდა, ჰერკულესის ტაძარში ალექსანდრე დიდის აღალმა რომ მოიხილა, ისე ამოიხვნეშა, თითქოს საკუთარი უმოქმედობის მიმართ ზიზღი იგრძნო და ზემოთ მოყვანილი სიტყვებიც მაშინ წარმოთქვა).

* * *

ომი დამპყრობელთ იმის უფლებას აძლევს, ხმალკისერკიდებულთ, ანუ დამარცხებულთ ის პირობები უკარნახონ, რაც უნდათ.

* * *

არცვინ იმდენად მამაცი არ არის, რომ მოულოდნელისგან შიშმა და ზარტეხამ არ აიტანოს.

* * *

საპატიო ადგილი ძლიერთ უნდა დავუთმოთ, ხოლო აუცილებლად საჭირო უსუსტესთ.

* * *

ოდეს ერთს ვისმე უყვარხარ, რაც გინდა ამას ის დაარქვი: მონობა, ერთგულება, პატივგება... მაგრამ ეს სიყვარული არ არის — სიყვარული მუდამ ორმხრივია.

* * *

დაკარგვით მარტო ის არა კარგავს, ვისაც არც არა აქვს რა დასაკარგი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №213

შარლ დე გოლი:

მამაცთა სიკვდილით დაილუპა თავადი ამილახვარი

საფრანგეთის სახელგანთქმულ უცხოურ ლეგიონში ზედმეტი ლაპარაკი არ უყვართ, მაგრამ მთავარ სათქმელს — ასწლოვან მთავარ დევიზს — „ლეგიონი — ჩვენი მამულია“ — ნებისმიერი ლეგიონერი იტყვის და შეძახილზე „ლეგიონო, ჩემკენ!“ ამხანაგის საშველად გაეგმართება. გასული საუკუნის 40-იან წლებში კი მათ კიდევ ბრძოლის წინ ანდერძიც დაემატა: „როცა უფლის წინაშე შეიძლება წარსდგე, სათანადოდ უნდა გეცვას!“ — ეს მე-13 ნახევარბრიგადის მეთაურის, ქართველი თავადის, ვიცე-პოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვრის სიტყვებია, რომელიც თავის უკანასკნელ ბრძოლაში ყველა მიღებული ჯილდოთი დამშვენებული საპარადო მუნდირით წავიდა.

გენერალი შარლ და გოლი აჯილდოებს დიმიტრი ამილახვარს

თავად გიორგი ამილახვრისა და თავადის ქალის ნინო ერისთავის პირმშო დიმიტრი ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ ბაზორკინოში (ამჟამად პრიგოროდნი რაიონის სოფელი ჩემენია) 1906 წლის ოქტომბერში დაიბადა, სადაც ოჯახი გორის მაზრის სოფელ ოთარაშენიდან იყო გადასული. სამშობლოში დაბრუნებულს შემდეგ პატარა დიმიტრი ტფილისის გიმნაზიაში სწავლობდა, მაგრამ საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ, ოჯახი ბათუმიდან ჯერ თურქეთში, 1922 წელს კი საფრანგეთში მიდის.

დედის ნათესავის, გენერალ ალექსანდრე ერისთავის დახმარებით, დიმიტრი ამილახვარი სახელგანთქმულ უმაღლეს სამხედრო სასწავლო დაწესებულებაში — სენ-სირის სასწავლებელში შედის. ამჟამად ის უკვე აკადემიაა, მაშინ კი ქვეითი ჯარის საუკეთესო ოფიცრებს ამზადებდა. 1926 წელს ახალგამომცხვარი უმცროსი ლეიტენანტი დიმიტრი ამილახვარი უცხოური ლეგიონის მე-4 ქვეით პოლკში გაანაწილეს, რომელიც იმხანად ალჟირის ქალაქ სიდი-ბელ-აბესში იდგა ბინად. თავის ოფიცრის ჯამაგირით კი იგი გაჭირვებაში მყოფ ოჯახს ეხმარება.

დიმიტრი ამილახვრის პირველი ბრძოლები სამხრეთ მაროკოში, რიფის საემიროს ჯარის წინააღმდეგი იყო და სწორედ მაშინ წარმოთქვა თავისი კიდევ ერთი, უაღრესად საგულისხმო ფრაზა, რომელიც დღესდღეობით, როცა ევროპის წამლეკავ აურაცხელ ემიგრანტს არანაირი პატივისცემა არ გააჩნია მასპინძელი ქვეყნის მიმართ, ასე განსაკუთრებულად ჟღერს: **„ჩვენ, უცხოელებს, მხოლოდ ერთი საშუალება გვაქვს დავუმტკიცოთ ჩვენს შემფარველ საფრანგეთს ჩვენი მადლიერება — თავი შევწიროთ ჩვენს ახალ სამშობლოს“**. იგი სამხრეთ მაროკოში ბერბერებთან ყველა ბრძოლის მონაწილე გახლდათ და თავი ისე გამოიჩინა, რომ შემდეგ ლეგიონის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, გენერალმა **გატრომ** მის შესახებ ასე თქვა: **„მაროკოს კამპანიებმა გააკაჟეს ამილახვარი და იმ ადგილად იქცნენ, სადაც მან შეძლო თავისი უზადო ზნეობრივი თვისებებისა და სამეთაურო ნიჭის გამოვლენა“**.

20 წლის თავადი რიგგარეშე კაპიტნის წოდებას იღებს და ერთი წლის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ქართველ თავადის ქალზე — **ირინა დადიანზე** ქორწინდება, რომელიც მეუღლეს მაროკოს ქალაქ აგადირეში მიჰყვება, სადაც პირმშო გიორგი კი ეღუპება, მაგრამ მერე, 1931 წელს, ჯერ ვაჟი **ოთარი,** 1934 წელს კი ქალიშვილი **თამარი** უჩნდება. 1935 წელს დიმიტრი ამილახვარი უცხოური ლეგიონის აგადირის პროფესიული მომზადების სკოლის უფროსად ინიშნება.

მაროკოში უცხოური ლეგიონის მაშინდელი მეთაური, ცნობილი გენერალი **ჟორჟ ალბერ კატრუ,** ასე იხსენებს ამ დიდებულ ქართველ კაცს: **„სულ ტყუილად ვეხვეწებოდი ეროვნების შეცვლასა და ფრანგად გახდომას. მისი პასუხი უცვლელი და მტკიცე იყო. იგი დიდად აფასებდა შეთავაზებულ პატივს, მაგრამ თავისი სამშობლოს ერთგული რჩებოდა, სადაც მის ჭეშმარიტ მოქალაქედ დაბრუნების იმედი ჰქონდა“**.

მართალია, საფრანგეთის მოქალაქეობის მიუღებლად სამხედროსთვის უცხოურ ლეგიონში მსახურება პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ ის შეიძლება მის ოჯახს შექმნოდა, ამიტომ, ცოლ-შვილის გამოისობით, 1938 წელს თავადი ამილახვარი საფრანგეთის მოქალაქე ხდება.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ცალკეულ დავალებათა შესასრულებლად, ფრანგულ ჯარში ნახევარბრიგადები ყალიბდება, რომელთა რიცხოვნობა დივიზიას ჩამოუვარდება. 1940 წლის მარტში კი იქმნება უცხოური ლეგიონის მომავალში ყველაზე ცნობილი ქვედანაყოფი — მე-13 ნახევარბრიგადა, რომელსაც შემდგომ „შესანიშნავ ფალანგას“ უწოდებენ. მასში ორ ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერია, რომელთა ნამსახურევის ვადა არანაკლებ ხუთი წელია. მათ შორისაა დიმიტრი ამილახვარიც.

პარიზის დაცემის შემდეგ, ქვეყნის სამხრეთში მარშალ **ანრი ფილიპ პეტენის** მეთაურობით, ქალაქ ვიშიში გერმანელებთან მოთანამშრომლე მთავრობა იქმნება, რომლის „თანხმობით“ გერმანია საფრანგეთის ჩრდილოეთისა და ატლანტიკის სანაპიროს ოკუპაციას ახდენს. ლეგიონერებს კი ბრიტანელ კომანდოსებთან ერთად, ნორვეგიაში სხამენ — ამ დესანტს მოკავშირეებს სკანდინავიაში გერმანელთა შეტევა უნდა შეეჩერებინა და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ნავსადგურები დაეცვა. დიმიტრი ამილახვარი მებრძოლთა მოწინავეთა რიგებშია. დაჭრილი იგი ბრძოლის ველს მაინც არ ტოვებს და ქალაქ ნარვიკს თავისი რაზმის სათავეში უტევს, თუმცა ოპერაცია წარუმატებლად მთავრდება. ლეგიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი **რაულ მონკლარი** მოწმობს: **„ამილახვრის ფანტასტიკური გმირობის წყალობით, ჩვენ ერთიანად განადგურებას გადავურჩით!“** თავადი ამილახვრის ნორვეგიული ეპოპეის შესახებ მეტი ცნობა მართალია, არ მოიპოვება, სამაგიეროდ არსებობს გამოჩენილი სიმამაცისთვის მისთვის მინიჭებული ნორვეგიის უმაღლესი ორდენი „სამხედრო ჯვარი მახვილით“ და ამისთვის მინიჭებული მაიორის წოდება.

დიმიტრი ამილახვრის ბოლო ფოტო

წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ ლეგიონერები ბრიტანულ ჯართან ერთად ინგლისში გადაჰყავთ, სადაც პოლკოვნიკი **შარლ დე გოლი** პატრიოტულ ანტიჰიტლერულ მოძრაობა „თავისუფალ საფრანგეთს“ ქმნის და ყველა თანამემამულეს მასთან მიმხრობისკენ მოუწოდებს, მაგრამ დიმიტრი ამილახვარი საფრანგეთში ბრუნდება — ქვეყანა ხომ კვლავაც განაგრძობს ბრძოლას. როცა კი საფრანგეთი იძულებულია, დანებდეს, იგი თავის თანამოაზრეებთან ერთად, რომელთაც ნორვეგიაში მისი თანამებრძოლი პოლკოვნიკი **პიერ კანიგი** თავკაცობს, უაღრესად სახიფათო „მოგზაურობაში“ მიდის: სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულები ისინი ლა-მანშისპირა ქალაქ ბრეტანში მიდიან, საიდანაც ინგლისში გადადიან.

დიმიტრი ამილახვარი საფრანგეთის ჯარის ერთ-ერთი პირველი ოფიცერი იყო, ვინც დე გოლს შეუერთდა, მე-13 ნახევარბრიგადა დიდ ბრიტანეთში განთავსებული საფრანგეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის ჯარის პირველი ქვედანაყოფი ხდება. უცხოური ლეგიონის სხვა ქვედანაყოფები კი კვლავაც გერმანიის მოკავშირე ვიშის მთავრობას ემსახურებიან. 1941 წლის მე-13 ნახევარბრიგადა „თავისუფალი საფრანგეთის“ სხვა ქვედანაყოფებთან ერთად კვლავ აფრიკაში, ერიტრეის ნახევარკუნძულზე, ეთიოპიაში ბრუნდება, სადაც იტალიელებთან მოუწევს ბრძოლა.

ამ დროისთვის დიმიტრი ამილახვარი უკვე ლეიტენანტ-კოლონელის, ანუ ვიცე-პოლკოვნიკის წოდებით, რომელსაც ვადამდე იღებს, უკვე მე-13 ნახევარბრიგადის მეთაურია. ვიშისტებს მისთვის, დე გოლთან ერთად, დაუსწრებლად სასიკვდილო განაჩენი გამოაქვთ. მისი სამხედრო საზრიანობისა და საარაკო სიმამაცის წყალობით, 1941 წლის გაზაფხულზე ერიტრეაში იტალიელთა განადგურებაში ლეგიონერები მთავარ როლს ასრულებენ. დღემდე საარაკოა დიმიტრი ამილახვრის მე-13 ნახევარბრიგადის 400 რჩეული მეომრის მიერ ერიტრეაში იტალიელთა აუღებელი ფორტ მონტეკულოს აღება, როცა მათ მიწისქვეშა კანალიზაციით... ფორტის შუაგულში მდებარე ოფიცერთა კაზინოში შეაღწიეს. მონტეკულოს ფორტის აღების შედეგად ლეგიონერებმა არა მარტო ქალაქი, არამედ წითელ ზღვაში მყოფი მთელი ფლოტიც იგდეს ხელთ — 14 600 ტყვეს შორის მისი მეთაური თავის შტაბიანად აღმოჩნდა...

1941 წლის ზაფხულში კი ამილახვრის მე-13 ნახევარბრიგადა, „თავისუფალი საფრანგეთის“ პირველი მსუბუქი დივიზიის შემადგენლობაში ინგლისის, ინდოეთისა და ავსტრალიის საჯარისო შენაერთებთან ერთად ვიშის სამთავრობო ჯარებს ებრძვის, რომლებიც სირიას აკონტროლებენ. ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დროს ამილახვრის ლეგიონერები დამასკოს სამხრეთ გარეუბანში უნდა შესულიყვნენ. შეტევის დაწყების წინ, ამილახვარმა მესაყვირეს უცხოური ლეგიონის ცნობილი სიმღერის „ბუდინის“ დაკვრა უბრძანა, მაგრამ მოულოდნელად მოწინააღმდეგის მხრიდან იგივე მელოდია გაისმა. უმალ ცეცხლის შეწყვეტის ბრძანების გაცემის შემდეგ ამილახვარი მოსალაპარაკებლად მიდის. თურმე, პოზიციას ლეგიონის მე-6 პოლკის ჯარისკაცები იცავენ, რომლებიც ვიშის მთავრობის ერთგულები რჩებიან. ისინი ბევრნი არ არიან და ნაბრძანები აქვთ პოზიციის ღამის პირველ საათამდე დაცვა. მათი განადგურება მე-13 ნახევარბრიგადას თავისუფლად შეუძლია, მაგრამ ამილახვარი პირობას აძლევს, რომ შეტევას დათქმულ დრომდე არ დაიწყებს, რათა მოწინააღმდეგემ უკან დახევა ბრძანების დაურღვევლად შეძლოს და სიტყვას, ცხადია, არ ტეხს. საბოლოო ანგარიშით, მნიშვნელოვანი პოზიცია ამილახვრის მეომრებმა ისე დაიკავეს, რომ წვეთი სისხლი არ დაღვრილა...

1942 წელს კი დავით ამილახვარი ლიბიის უდაბნოში ძველი მეგობრის კენიგის მეთაურობით სახელგანთქმულ გერმანელ გენერალ-ლეიტენანტს, „უდაბნოს მელად“ წოდებულ **ერვინ რომელს** ებრძვის. იქ მისი ნახევარბრიგადის ორი ბატალიონი პატარა ოაზისის ციხე-სიმაგრე ბირ-ჰაკეიმს ორ კვირაზე მეტ ხანს იცავს, რა დროსაც ახალ ეფექტიან ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემას იყენებს, ალყიდან გამოჰყავს ჯარისკაცები, ხოლო იძულებითი ევაკუაციის დროს დანაღმული მინდვრებით მიმავალი კოლონის მოწინავე მანქანაში კენიგთან ერთად ზის და ტყვიამფრქვევთა ცეცხლის ქვეშ ხალხი ალყიდან გამოჰყავს. სამშვიდობოს გასულები კი აღმოაჩენენ, რომ თავად დიმიტრის მანქანას 11 ნატყვიარები და ყველა ამორტიზატორი დალეწილი აქვს. ეს ბრძოდა უაღრესად ხატოვნად წარმოაჩინა **ბერნარ სენტ-ჰილერმა,** რომელიც ამილახვრის მეთაურობით იბრძოდა, შემდგომ კი მე-13 ნახევარბრიგადის თავკაცის თანამდებობაზე შეცვალა და გენერალიც გახდა:

„ნამცეცმა ქვიშამ შეაჩერა ჰიტლერისა და მის მოკავშირეთა ჯარების წინსვლა, რომლებმაც ალ-ალამეინს მხოლოდ მას შემდეგ მიაღწიეს, რაც ეს დასვენებამოსწრებულმა ბრიტანულმა დივიზიებმა გააკეთეს. ეს ნამცეცი ქვიშა ბირ-ჰაკეიმი იყო“.

ამ ერთი ციდა ქვიშის მთავარი მდგენელი კი თავადი ამილახვარი გახლდათ.

შარლ დე გოლი: **„პირველი მსუბუქი დივიზიის დიდებული დათვალიერების დროს გათავისუფლების**



ამილახვრების საგვარეულო გერბი

ჯვრით მე გენერალი კენიგი და რამდენიმე სხვა პირი, მათ შორის ვიცე-პოლკოვნიკი ამილახვარი დავაჯილდოვე“.

„თავისუფალ საფრანგეთში“ ეს უმაღლესი ჯილდოა, იმხანად დე გოლი არ იყო ქვეყნის პრეზიდენტი და არ ჰქონდა ვინმეს საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოების უფლება. ამიტომ, მეორე მსოფლიო ომის დროს მან იმ დროის უმაღლესი ჯილდო — გათავისუფლების ორდენი დააარსა. პარიზში ამ ორდენის მუზეუმია, სადაც მარმარილოს დაფაზე ქართველი თავადის სახელია ამოტვიფრული, საპატიო ლეგიონის ორდენით კი დე გოლმა დიმიტრი ამილახვარი უკვე სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვა.

გათავისუფლების ორდენი დიმიტრი ამილახვარს ეგვიპტის ჩრდილოეთის ქალაქ ელ-ალამეინას მახლობლად გადაეცა, ალექსანდრიიდან 100 კილომეტრში რომ მდებარეობს. იქ ორი დიდი ბრძოლა გაიმართა, რომელთაგან მეორეში, რომელიც მეორე მსოფლიო ომში ჩრდილოეთ აფრიკაში გადამწყვეტი აღმოჩნდა — რომელის დაჯგუფება განადგურდა!

გენერალი დე გოლი: **„...ფრონტის გაჭიმული ხაზის პირობებში და კარგად გამაგრებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, ჩვენ მნიშვნელოვანი ზიანი მოგვადგა; კერძოდ, მამაცთა სიკვდილით დაიღუპა თავადი ამილახვარი“.** იმ საბედისწერო ბრძოლაში, ამილახვარის შენაერთში 30 ჯარისკაცი და ყველა ქვედანაყოფის მეთაური იღუპება, რაც მას უკან დახევის ბრძანების გაცემას აიძულებს. ხელქვეითები ამაოდ ეხვეწებიან თავად დიმიტრის კეპის მოხდასა და ჩაფხუტის დახურვას, რაზეც იგი კატეგორიულ უარს აცხადებს: **თითოეული ლეგიონერი საკუთარი თვალით უნდა ხედავდეს მეთაურსო...**

დანარჩენს კი „უცხოური ლეგიონის 1831-1955 წლების ოქროს წიგნში“ ვკითხულობთ: **„მე-13 ნახევარბრიგადა, ყოველგვარი დაცვის გარეშე, არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლშია მოყოლილი. მისი მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი ამილახვარი წელგამართული დგას, მას ყველა მისი ჯარისკაცი ხედავს, რომლებიც მას კამპანიის დაწყებისთანავე გულწრფელი აღფრთოვანებით შესცქერის, რომელიც ბრძოლიდან ბრძოლამდე მატულობს. ბოლოს კი მის მახლობლად მოწინააღმდეგის ერთად გასროლილი ოთხი ჭურვი აფეთქდა და განგმირული დაეცა“.**

მაშინ თავადი დიმიტრი ამილახვარი სულ 37 წლისა იყო...

ტრაგიკული აღმოჩნდა მისი მეუღლის ბედიც. 1944 წელს ლეგიონერებმა ქალბატონი ირინა შვილებთან ერთად ბორდოში საშობაოდ მიიწვიეს, რომელსაც დიმიტრი ამილახვრის ხსოვნის საღამო დაამთხვიეს. **„მათ მძღოლიანი ავტომანქანა გამოგვიგზავნეს,** — იხსენებს გმირის ქალიშვილი თამარი. — **ტყის გზაზე საბურავი გასკდა, მანქანა სრული სვლით ჯერ ერთ ხეს დაეჯახა, მერე მეორეს... მე პატარა ვიყავი, ფანჯრიდან გადავვარდი და თითქმის არ დავზარალებულვარ. ასევე ჩემი ძმაც. დედაჩემი, დეიდა და მძღოლი კი დაიღუპნენ“.** დაობლებული ოთარ და თამარ ამილახვრები „ხალხის შვილებად“ გამოაცხადეს და სახელმწიფომ მათზე მზრუნველობა იკისრა. თავის გმირებს საფრანგეთი პატივს არა მხოლოდ ლიტონი სიტყვებით მიაგებს... თვით ლეგენდარული თავადი კი სამხედრო პატივით ელ-ალამეინის სამხედრო სასაფლაოზე დაკრძალეს...

ვლადიმერ გოლოვინი,
ჟურნალი „რუსკი კლუბი“, №8, 2018 წ.



თეიმურაზ მეფის პორტრეტი ხელოვნების მუზეუმში

ხელოვნების სასახლეში უნიკალური ექსპონატის — ცნობილი მხატვრის ალექსანდრე ანტროპოვის მიერ შესრულებული თეიმურაზ მეფის პორტრეტის დაბრუნებასთან დაკავშირებით საზეიმო მიღება გაიმართა.

მიღებას კულტურის მოღვაწეები და მინისტრთა კაბინეტის წევრები ესწრებოდნენ.

სასახლე უკვე დამთვალიერებელს სამეფო საგანძურის სანახავად ელოდება — ფერწერული ნამუშევარი 257 წლის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა. 2 დღის განმავლობაში მუზეუმის კარი ყველა დამთვალიერებლისთვის ღია იქნება და სამშობლოში დაბრუნებული პოეტი მეფის პორტრეტის ნახვა ყველა მსურველს უსასყიდლოდ შეეძლება.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ამ მნიშვნელობის და ღირებულების ექსპონატის ქვეყანაში დაბრუნება პირველი შემთხვევაა. თეიმურაზ მეფის პორტრეტი ბაგრატიონთა სამეფო ოჯახისა და კოლექციის შემადგენელი ნაწილია. პორტრეტის საქართველოში დაბრუნება ბიძინა ივანიშვილის და ფონდ „ქართუს“ დახმარებით მოხდა.

ხელოვნების სასახლის ექსპერტებმა პორტრეტის შესასყიდად 1Stdibs გალერეასთან დაიწყეს მოლაპარაკება. ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია დაუკავშირდა ფონდ „ქართუს“, რომელმაც სრული — ფინანსური და ორგანიზაციული დახმარება გასწია ნახატის შესაძენად. საბოლოოდ, უნიკალური პორტრეტი „ქართუ ფონდმა“ 38,400 აშშ დოლარად შეისყიდა და ხელოვნების სასახლეს გადასცა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით უნიკალური განძი უსაფრთხოდ დაბრუნდა სამშობლოში. ნახატს საქართველოშიც ჩაუტარდა პირველადი საექსპერტო დათვალიერება და სარესტავრაციო შემოწმება, რითაც სრულად დასტურდება უცხოელი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის ყველა პირობა.

პორტრეტის ისტორია

თეიმურაზმა რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო, ის უკანა გზაზე შეუძლოდ გახდა და გზაშივე გარდაიცვალა და სამეფო ამალამ ქართველი მეფე ასტრახანში დაკრძალა. მას შემდეგ საქართველო არაერთხელ შეეცადა გვირგვინოსნის სამშობლოში გადმოსვენებას, მაგრამ ეს ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. ამდენად, პორტრეტის სამშობლოში დაბრუნება სიმბოლურია.

თეიმურაზი მეფედ 1745 წელს სვეტიცხოველში მას შემდეგ ეკურთხა, რაც 130 წლის განმავლობაში საქართველოში ქრისტიანული წესით არ კურთხეულა არც ერთი მეფე. ასევე ხაზგასასმელია, რომ 1962 წელს ასტრახანში ქართველი მეცნიერების ჩართულობით გაიხსნა მეფეების აკლდამა, რა დროსაც მეფე თეიმურაზის პრაქტიკულად უხრწნელი ცხედარი აღმოაჩინეს. მეფის ნეშტს ზუსტად ის სამოსელი ემოსა, რაც ნახატზეა გამოსახული.

1761 წლის 8 აპრილს რუსეთში მოლაპარაკებებზე ჩასულმა ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ მეორემ იმდენად მოხიბლა რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედი, რომ მონარქმა რუსეთის საიმპერატორო კარის ყველაზე ცნობილ მხატვარს ალექსანდრე ანტროპოვს (1716-1795) ქართველი ხელმწიფის დახატვა დაავალა.

იმავე წლის 21 ივნისს მეფე თეიმურაზმა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ტიპოგრაფია დაათვალიერა, სადაც მას ანტროპოვის ნახატის მიხედვით გაკეთებული გრავიურა საჩუქრად გადასცეს. ექსპონატის მარჯვენა კუთხეში წერია რომ ნამუშევრის გრავირება მოხდა ალექსანდრე ანტროპოვის პორტრეტის მიხედვით, ოსტატების — ვინოგრადოვისა და ეფიმოვის მიერ, 1761 წელს. თეიმურაზის გრავიურა სულ რამდენიმე ეგზემპლარად შემორჩა, რომლებიც რუსეთის მუზეუმებშია დაცული.

აღნიშნული გრავიურა დღემდე თეიმურაზის ყველაზე ძველ და ერთადერთ გამოსახულებად ითვლებოდა. მეფის ყველა მომდევნო პერიოდის პორტრეტი (მათ შორის ეროვნულ მუზეუმში დაცული გვიანი ასლი) ზემოხსენებული გრავიურის მიხედვითაა შექმნილი.

ალექსანდრე ანტროპოვის უნიკალური ტილო დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. თუმცა მიმდინარე წლის ოქტომბერში მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ონლაინ გალერეამ №Ꝑევშით-მა 186 ათას დოლარად გასაყიდად გამოიტანა უნიკალური პორტრეტი, რომელზეც დახატული პირი ვინოგრადოვისა და ეფიმოვის მიერ 1761 წელს შექმნილ გრავიურაზე გამოსახული თეიმურაზის იდენტური იყო. დაემთხვა ყველა დეტალი: კოსტიუმი, გაფორმება, ორნამენტები თავსაბურავზე და სამოსზე, სახის ყველა დეტალი.

ლონდონში არსებული Daniel Hunt Fine Art გალერეის ექსპერტების სანდი მალლეტის (Sandy Mallet) და ცნობილი რესტავრატორის ფაბიო მაძოკინის (Fabio Mazzocchini) მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ნახატი დათარიღებული იყო 1760 წლის ახლო პერიოდით, რაც ასევე ზუსტად პასუხობდა ცნობას იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერატრიცას დავალებით ქართველი მეფის პორტრეტი 1761 წელს სანქტ-პეტერბურგში დაიხატა. ამდენად, საქართველოს ხელოვნების სასახლის ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ საქმე გვქონდა უნიკალურ აღმოჩენასთან, კერძოდ, მეფე თეიმურაზის ორიგინალ პორტრეტთან, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა.

პორტრეტის მნიშვნელობა

ისტორიული ძნელბედობის გამო ქართველი მეფეების სულ რამდენიმე თანადროული ფერწერული პორტრეტია შემორჩენილი. ესენია: მეფე ვახტანგ მეექვსის, მეფე ერეკლე მეორის, მეფე გიორგი მეთორმეტის და ამჯერად უკვე მეფე თეიმურაზისა.

პორტრეტის განსაკუთრებულ ღირებულებას განაპირობებს მხატვრის ვინაობაც. ალექსი ანტროპოვი რუსული რეალისტური მხატვრობის ერთ-ერთ ფუძემდებლად და საერო პორტრეტების გამორჩეულ ოსტატად ითვლება.

ანტროპოვის ფერწერული ტილოები ძალიან მცირე რაოდენობით, დაახლოებით თხუთმეტ ნიმუშამდეა შემორჩენილი და შედევრებად არის შეფასებული.

„ანბანით მოთხრობილი საქართველო“

დუბლინში, დან ლირის ბიბლიოთეკაში, საქართველოს საელჩოს ორგანიზებით და გამომცემლობა „Dalkey Archive Press“ მხარდაჭერით, ქართული ლიტერატურის გამოფენა — „ანბანით მოთხრობილი საქართველო“ გაიხსნა. გამოფენა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა ირლანდიაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა გიორგი ზურაბაშვილმა. მან ქართული ენის, ლიტერატურისა და უნიკალური დამწერლობის შესახებ ისაუბრა. მან ყურადღება ასევე გაამახვილა ფრანკფურტის წიგნის გამოფენაზე საქართველოს საპატიო სტუმრის სტატუსით მონაწილეობის მნიშვნელობაზე.

ღონისძიებაზე, ქართული ლიტერატურის სტენდთან თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნიმუშებს შორის, განთავსებული იყო გამომცემლობის „Dalkey Archive Press“ მიერ ნათარგმნი და გამოცემული ქართული წიგნები, რომლებიც დან ლირის ბიბლიოთეკას გადაეცა.

ქართული ლიტერატურის გამოფენა დან ლირის ბიბლიოთეკაში 22 ნოემბრამდე გაგრძელდება.

საქართველო უნდა გადარჩეს!

წარმატების საწინდარი მოაზროვნე საზოგადოების არსებობაა

ცნობილი დემოგრაფი ანზორ თოთაძე წიგნში „დიდი სომხეთის დიადი შემოქმედნი“ აღნიშნავს, რომ მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება მეზობელი ქვეყნის მიმართ ისეთ უპატივცემულობას, მთელი მისი ისტორიული წარსულის გაყალბებისა და კულტურული მემკვიდრეობის მითვისების ისეთ მცდელობას, როგორც ამას აკეთებენ სომეხი მეცნიერები: არწმუნი, ერიცოვი, პატკანოვი, ეზოვი და სხვები, რომლებიც შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, რომ ქართველები და საქართველო, მიწასთან არ გაესწორებინათ.

ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე თავის ბრწყინვალე „ქვათა ღაღადში“ აღნიშნავდა: **„ლამის კავკასიის ქედს აქეთ ჩვენი ხსენება გააჩანაგონ, ქართველების სახელი დედამიწის ზურგიდამ აღგავონ და ჩალასავით ქარს გაატანონ“. როგორც XIX საუკუნეში, ისე ახლაც, მათი აზრით „საქართველო საქართველო კი არ არის, ძველი სომხეთია“.**

აფხაზი სტანისლავ ლაკობა კიდევ უფრო შორს წავიდა, მისი აზრით კაცობრიობა წარსულში აფხაზურ ენაზე ლაპარაკობდა და მომავალშიც აფხაზურ ენაზე ილაპარაკებს. ამ აკვიატებული აზრის დასამტკიცებლად იგი „ასაბუთებს“ აფხაზური ენის ნათესაობას ჩინურ, ტიბეტურ, ხეთურ, ბასკურ, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წყნარი ოკეანის სანაპიროებზე გავრცელებულ ციმშიანჩინუკისა და სხვა ენებთან.

ჩვენი უძველესი წარსულის გასაშუქებლად ფასდაუდებელ მასალას გვაწვდის არქეოლოგიური და წერილობითი წყაროები, ეთნოგრაფია და სხვა. ამ წყაროებზე დაყრდნობით დამტკიცებულია, რომ უძველესი დროიდან თანამედროვე საქართველოს და მის სამხრეთით, განსაკუთრებით, შავიზღვისპირეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია ქართველთა ტომებით იყო დასახლებული.

არჩილ ჯორჯაძეც ხომ ოპტიმალურ გზებს იკვლევდა საქართველოს უკეთესი მომავლის ძიებაში. მას კარგად ესმოდა ეროვნული იდეოლოგიის მნიშვნელობა, რომელიც ორგანულ კავშირშია საკაცობრიოსთან. ეროვნულობა საკაცობრიო იდეალებს უნდა ემსახურებოდეს. ამის გარეშე ქართველი ერის წინსვლა გამორიცხულად მიაჩნდა. მისი აზრით, დიდი თუ პატარა ერებისაგან შედგება კაცობრიობა, ამდენად ეროვნული სული ორგანულ კავშირშია საკაცობრიოსთან. არჩილ ჯორჯაძის ამ მოსაზრებამ ახალი შინაარსი შეიძინა დღევანდელ პირობებში. როცა ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების გზაჯვარედინზე დგას და როცა კოსმოპოლიტიზმი და ინტეგრაციული პროცესები ახალ სტადიაში შედის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეროვნულ თავისებურებათა წარმოჩენა და დაცვა.

ჰეგელიც ხომ ამბობდა, რომ მხოლოდ კავკასიის ხალხში აღწევს სული თავის აბსოლუტურ მთლიანობას, ერთიანობას, საკუთარ თავთან აბსოლუტურ დამოუკიდებლობას... აღწევს თვითგამორკვევას, თვითგანვითარებას და ამით წინ მიჰყავს მსოფლიო ისტორია. მსოფლიო ისტორიაში პროგრესი კავკასიის რასის წყალობით ხდებაო.

მსოფლიოს ახალ იდეოლოგიად მიჩნეულია რელიგიური მონდიალიზმი, იგივე ეკუმენიზმი, რომლის მიხედვით მსოფლიოს ყველა რელიგია კარგია, ამიტომ აუცილებელია მათი გაერთიანება საყოველთაო რელიგიად, რომელმაც უნდა აღიაროს მსოფლიოს დიდი არქიტექტორი („ბაფომეტი, სატანა“).

2003 წლის გაზაფხულზე პარლამენტში საანგარიშო სიტყვის სათქმელად მისულ მაშინდელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს „აღორძინების“ წევრმა ელიზბარ ჯაველიძემ სახალხოდ მიახალა, მასონი ხარო.

მანამდე, ჯორჯ ბუშთან შეხვედრისას, შევარდნაძემ რამდენჯერმე გაუსვა ხაზი, რომ დროა, დაჩქარდეს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარება. ოლეგ პლატონოვის წიგნში „ეკლიანი გვირგვინი რუსეთზე“ წერია ყოფილ საბჭოთა კავშირში მასონთა პატრიარქები იაკოვლევი, შევარდნაძე და გორბაჩოვი არიანო. მასონი იყო ბორის ელცინი, მათ სიაში იკითხებოდა კახა ბენდუქიძე, რომელიც 1993 წლიდან იყო კლუბ „ურთიერთქმედების“ წევრი.

ერი და ეროვნული ინტერესები არავის დავიწყებია, თვით „;ბებერ“ ევროპაშიც კი, სადაც ინტეგრაციამ წაშალა სახელმწიფო საზღვრები და სხვა მნიშვნელოვანი ატრიბუტები და დანარჩენ ქვეყნიერებასაც იმას უჩვენებს, რომ კაცობრიობას მშვიდობიანი ცივილიზებული განვითარება ბოლოს და ბოლოს „უსაზღვრო და ინტეგრირებულ მსოფლიომდე მიგვიყვანს ყველას, მაგრამ ხალხთა და ქვეყანათა დაახლოება ინტეგრირების იდეალურ პირობებშიც კი, ეროვნული თავისებურებანი და მათგან გამომდინარე ცხოვრების წესი და ტრადიციები უკვდავნი არიან. შოტლანდიელი ვერასოდეს ვერ გახდება იტალიელი, ანდა სომეხი — არაბი. ე.ი. საკაცობრიო იდეალების დიდი გზა „ეროვნულ ნიადაგზეც“ გაივლის.

> **დღევანდელი ქართველი ერიც თავის სამშობლოს ვერ პატრონობს. პატრონობა იმას ნიშნავს, რომ ერმა უნდა შეძლოს საკუთარი ქვეყნის ბედი პატიოსან, განათლებულ, საქართველოსთვის თავდადებულ ადამიანებს მიანდოს.**

ახლახან იუსტიციის სახლში ვიყავი. უნდა გენახათ რამდენი არაბი, ირანელი და პაკისტანელი რეგისტრირდებოდა საჯარო და სამოქალაქო რეესტრში. ზოგიერთი იტყვის, რამ შეგაშინათ, გერმანიასაც ხომ ჰყავს მრავალი მილიონი თურქი ემიგრანტი, ხომ გაუძლეს გერმანელებმა, ჩვენც გავუძლებთო.

ჯერ ერთი, გერმანიის მოსახლეობა 81 მილიონ ადამიანს შეადგენს, ხოლო საქართველო 3-მილიონიანი მოსახლეობით ვერ გაუძლებს ამხელა ზეწოლას. მიგრაციული პროცესების გამო ჩვენს ქვეყანაში შეიქმნება მუსლიმანთა თემები, მოითხოვენ სკოლებისა და მეჩეთების აშენებას და ა.შ. როგორც ძველ საქართველოში იყო, ახლანდელ საქართველოშიც ქართველობის რჯული უნდა გახდეს ქართველთა ცხოვრების ყველა სფეროს განმსაზღვრელი.

დიდ ბრიტანეთში მუსლიმი ემიგრანტების ქონებრივი დავის განხილვისას უკვე, 1982 წლიდან, ადგილობრივი სასამართლოები შარიათის ნორმებს ითვალისწინებენ.

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოქმედებს 85 შარიათის სასამართლო, რომლებიც მხარეთა შეთანხმებით მუსლიმანთა ოჯახურ და ფინანსურ დავებს იხილავენ. ჰოლანდიაში მოსამართლეებს უფლება აქვთ, გამოიყენონ შარიათი, თუ ის არ ეწინააღმდეგება ადგილობრივ კანონმდებლობას. გერმანიაში ირანის ან საუდის არაბეთის მოქალაქეთა ქონებრივი დავების განხილვისას გერმანიის სასამართლო ითვალისწინებს შარიათის კანონებს.

ისლამური სამყარო დასავლეთის ცივილიზაციას იზიარებს, მაგრამ არ უშვებს დასავლეთის ცხოვრების წესის შეჭრას მუსლიმანის სულიერ ცხოვრებაში.

დღეს მსოფლიო პროცესები ახალ გამოწვევებს სთავაზობს ყველას, ჩვენმა ერმაც პასუხი უნდა გასცეს გლობალიზაციის მიერ შემოთავაზებულ მოთხოვნებს და თავისი ადგილი და ფუნქცია იპოვოს თანამედროვე მსოფლიოში, რაც აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებას, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების არსებობა კი ქვეყნის წარმატების საწინდარია.

დღევანდელი ქართველი ერიც თავის სამშობლოს ვერ პატრონობს. პატრონობა იმას ნიშნავს, რომ ერმა უნდა შეძლოს საკუთარი ქვეყნის ბედი პატიოსან, განათლებულ, საქართველოსთვის თავდადებულ ადამიანებს მიანდოს.

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, უმთავრესია, რომ ჩვენ ტრადიციებზე დაყრდნობით შევქმნათ თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მიღწევებზე დაფუძნებული ქართული სახელმწიფო. ხელისუფალთ, ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან ერთად, მოეთხოვებათ სულიერი და ეროვნული ღირებულებების დაცვა და განვითარება.

ჯანო წულუკიძე,
სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს იურიდიული აკადემიის აკადემიკოსი.

P. S. 5 ოქტომბერს საქართველოს იურიდიული აკადემიის პრეზიდიუმის სხდომამ სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ჯანო წულუკიძე საქართველოს იურიდიული აკადემიის აკადემიკოსად აირჩია.

ვულოცავთ!

„ქართული ზეთისხილის“ რთველი კახეთში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოში, კომპანიაში „ქართული ზეთისხილი“ ზეთისხილის მოსავლის აღების და გადამუშავების საწარმოო პროცესს გაეცნო.

საქობოში ზეთისხილის პლანტაციები 300 ჰექტარ ფართობზე 7 წლის წინ გაშენდა, ზეთისხილის გადამმუშავებელი ქარხანა კი, 2016 წელს, ჰოლანდიურ-თურქული ინვესტიციით და „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტით შეიქმნა.

პროექტი, რომლის საერთო საინვესტიციო ღირებულება დაახლოებით 5 მილიონი ლარია, ბიზნესმენმა გიორგი სვანიძემ განახორციელა. ზეთისხილის საწარმო თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, რაც უმაღლესი ხარისხის კონკურენტუნარიანი ქართული პროდუქციის წარმოების საშუალებას იძლევა. ცივი გამოხდის მეთოდით მიღებული ზეითუნის ზეთი და საპონი კომპანიის ძირითად პროდუქციას წარმოადგენს, რომელიც წარმოდგენილია ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე.

მცირე ბიზნესის შემოსავლები გაორმაგებულია

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა განაცხადა. მისი თქმით, ამ დროისთვის, უკვე დარეგისტრირებულია, დაახლოებით, 70 ათასი მცირე მეწარმე.

„მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან ანუ გასული წლის საშუალო კვარტალურ შემოსავალთან შედარებით, მცირე ბიზნესის ბრუნვა 2-ჯერ არის გაზრდილი, რაც დადებითი მოვლენაა. მეწარმეები რეგისტრირდებიან, გამოდიან ჩრდილიდან, რადგან 1%-იანი გადასახადი მათთვის ტვირთი არ არის. მიგვაჩნია, რომ ეს პროცესი აქტიურად გაგრძელდება. ჩვენ თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ რეფორმის დაწყების მიზანი არ იყო გადასახადების მობილიზება. ინიციატივა მიზნად ისახავდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას, რადგან შემოსავლების დაფიქსირებით, მცირე მეწარმეებს აქვთ შესაძლებლობა, ჰქონდეთ წვდომა საბანკო პროდუქტებზე. შესაბამისად, ყველა ის პრობლემა, რომელიც თითქოსდა ასოცირდება საბანკო რეგულაციებთან, ამ სახით პრაქტიკულად მოგვარებადია“, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა ივანე მაჭავარიანმა.

ახალი რძის გადამმუშავებელი კოოპერაციული საწარმო კასპში

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე კასპის მუნიციპალიტეტში რძის გადამმუშავებელი კოოპერაციული საწარმოს მშენებლობის მიმდინარეობას გაეცნო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ქართული ნობათი“ კასპის მუნიციპალიტეტში 2016 წლიდან საქმიანობს და 19 ადგილობრივს აერთიანებს. 2018 წელს კოოპერატივი ჩაერთო „რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამაში. დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლომდე მშენებლობის დასრულება. საწარმო პროგრამის ფარგლებში აღიჭურვება რძის მიმღებ-გადამმუშავებელი დანადგარებით და ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოებით. კოოპერატივს ასევე გადაეცემა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მხრიდან თანადაფინანსებას წარმოადგენს საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება, რომელშიც განთავსება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაცემული დანადგარები.

„რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამა 2016 წლიდან ხორციელდება, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 26 ახალი კოოპერაციული საწარმო შეიქმნა, მათ შორის 10 მიმდინარე წელს ამოქმედდება.

რაღაც მართლაც უნდა შეიცვალოს!

დღეს საქართველო იმპროვიზებული ჰაიდ-პარკია: ნებისმიერ ენაბლუსა და გონებაბრჯგუს, თუ ჟინი მოუვლის, შეუძლია, ტაბურეტზე შეხტეს და რამდენიც უნდა და რა სიტყვებითაც უნდა, აგინოს ნებისმიერ ადამიანს, ხელისუფლებას ან სულაც მთელ ერს, კაციშვილი არაფერს ეტყვის საპასუხოდ, საყვედურს ხომ — აპა-პა-პა-პა!

ჰოდა, ნახევარი საქართველო ტაბურეტზეა შემდგარი და მეორე ნახევარს დედ-მამის სულს უტრიალებს!

განსაკუთრებით ამ საპრეზიდენტო არჩევნების წინა ხანებში მოათქმევინა სული სალაპარაკოდ აღერღილ მოქალაქეებს ჰაიდ-პარკმა. მოგეხსენებათ, რაც უფრო ნაკლებია ქვეყანაში სამუშაო და შესაბამისად — საჭმელი, იმდენად მეტია ენის მოფხანის სურვილი. ჰოდა, გამოდეს ენა შარაზე ჩვენმა გაციცერონებულმა თანამოძმეებმა და არიან განცხრომაში.

ახლა მთავარია ცეცხლს სახმილი არ მოაკლდეს.

სწორედ ასეთ სახმილად იქცა სამშაბათ საღამოს ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ სამ ტელეჟურნალისტთან, რის შესახებ კომენტარები, განხილვა თუ განქიქება აგერ უკვე მესამე დღეა, წარღვნასავით აწვიმს სრულიად საქართველოს.

რა თქვა იმ დღეს, რა ჰკითხეს და რა უპასუხა, მთელმა ქვეყანამ ნახა და უსმინა, იმასაც თუ როგორ აფასებენ მას ოპოზიცია და პოზიცია, ამიტომ მე მხოლოდ ჩემს შთაბეჭდილებას მოგახსენებთ იმაზე, თუ როგორ ჰკითხეს და როგორ უპასუხა.

თავიდანვე ვიტყვი: ეს ბრძოლა იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით...

მაშ ასე, მაგიდას უსხდნენ ქვეყნის მთავარი მეოცნებე, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი, მთავარი ოცნებაფობისა და ბიძინაფობის ნიკა გვარამიას თანამოტვინე და თანამოენე, „რუსთავი2“-ის მთავარი დამრტყმელი ძალა ეკა კვესიტაძე, დიანა ტრაპაიძე „ტვ პირველიდან“ და იმედელი ირაკლი ჩიხლაძე.

თავიდანვე ვთქვათ: ინტერვიუ წარმართა მძიმედ და „უთავბოლოდ“.

მძიმედ იმიტომ, რომ სამი ჟურნალისტიდან ორი — კვესიტაძე (განსაკუთრებით და ხაზგასმით ჩასაფრებულად, ხოლო თუ სრულ სიმართლეს ვიტყვით — ბოროტგანზრახულად) და ტრაპაიძე „გამოჭერაზე“ იყვნენ და ამ „მიზანდასახულებით“ წაიყვანეს კიდეც ინტერვიუ.

ხოლო უთავბოლოდ იმიტომ, რომ ინტერვიუ თავიდანვე დაიწყო უსისტემოდ, „არაარქიტექტურულად“. და ამაში დამნაშავე (არ ვიცი, შეგნებულად თუ გაუაზრებლად) იყო ჟურნალისტი დიანა ტრაპაიძე.

მისი პირველი შეკითხვა ფაქტობრივად „აზრის გამოთქმა“ იყო მიმდინარე მოვლენებზე, იქ იყო ოქუაშვილიც, სუბელიანიც, ფარცხალაძეც და სხვაც, რომლებზეც, ალბათ, კონკრეტულად უნდა წარმართულიყო საუბარი. ასეთმა „განზოგადებულმა შესავალმა“ კი, არ მინდა ვიფიქრო, რომ განზრახ, მაგრამ აშკარად არია ბანქო. როცა ჟურნალისტმა ხანგრძლივი წიაღსვლები დაასრულა, ბატონმა ბიძინამ დაიწყო საფუძვლიანი (ყოველ შემთხვევაში — ვრცელი) პასუხის გაცემა ამ გადატვირთულ „ჩამონათვალზე“ (ალბათ, უმჯობესი იქნებოდა ეკითხა, მთელი ამ აჯაფსანდალიდან მთავრად რომელს თვლით, პასუხს რომელზე მოითხოვთო).

ჰოდა, ამ ვრცელმა პასუხ-მონოლოგმა, რამაც უზარმაზარი დრო წაიღო (თუ არ ვცდები, მგონი, მთელი 40 წუთი) ეკა კვესიტაძეს ხურვება დააწყებინა, მის ცმუკვაში, ცინიკურ ღიმილსა და შხამიან რეპლიკებში აშკარად იკვეთებოდა, რომ ინტერვიუს ასეთი მშვიდობიან-„შემეცნებითი“ მსვლელობა „რუსთავი2“-ის მიზნებში არ შედიოდა. კვესიტაძეს ხელიდან არ გაუშვია მობილური ტელეფონი, განუწყვეტლივ აგზავნიდა მესიჯებს და ფხიზლად ადევნებდა თვალს მოსულ პასუხებს. სავარაუდოა, რომ მის რეპლიკებს სწორედ ტელეფონით მიღებული ინსტრუქციები ედო საფუძვლად. ხოლო ის, თუ ვინ იჯდა ტელეხაზის მეორე ბოლოში, ვფიქრობ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. ერთიც: ჟურნალისტი კვესიტაძე კითხვებს კი არ სვამდა, არამედ — ბრალდებებს უყენებდა. მისი ეს მანერა ინტერვიუს წარმართვისა, თვალში საცემად გამომწვევი იყო და რა დასამალია, მიზანსაც მიაღწია.

ბიძინა ივანიშვილი გააღიზიანა ვიზავის დაუფარავმა უპატივცემულობამ და „რუსთავი-2“ სამიზნეზე დაისვა. როგორც შემდეგ გამოთვალეს, მან 61-ჯერ ახსენა „რუსთავი-2“, რა თქმა უნდა, უარყოფით კონტექსტში და ამით ანგარიში გაუსწორა ეკა კვესიტაძესაც და ტელეარხსაც. რაც, რა თქმა უნდა, სულაც არ წარმოადგენდა იმდღევანდელი ინტერვიუს მიზანს, თუმცა, ზოგიერთს რომ ჰკითხო, სწორედაც რომ ეს არის მთავარი შედეგი: ივანიშვილმა მთლიანად ამოიფერთხა „რუსთავი-2“-ზე და მის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიაზე გულში ჩაგუბებული წყენაო.

კი ბატონო, ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს. პირადად მე ის მგონია ნაღდი, რომ, ალბათ, საჭირო არ იყო წვრილად გარჩევა ზოგიერთი საკითხისა, მაგალითად, სახლების მშენებლობისა და სხვ. არადა, შეეძლო იოლად მოეგერიებინა შემოტევები. მე ხომ პროკურორი არა ვარ, რომ ყველაფერი ვიცოდე ასეთ კონკრეტულ საკითხზეო და ა.შ.; ისიც შესამჩნევი იყო, რომ მსმენელი ცოტა არ იყოს გააღიზიანა კატეგორიულმა მსჯელობამ ექსპროკურორ ფარცხალაძეზე...

დაბოლოს: მსმენელი ერთობ დააინტერესა ინტერვიუერის დაპირებამ, ერთ წელიწადში ყველაფერი შეიცვლებაო. ალბათ, ეს არის სამშაბათის ინტერვიუს მთავარი მესიჯი.

რაღაც შეიცვლება. რაღაც მართლაც უნდა შეიცვალოს, დროა!

ალბათ, უკეთესობისკენ!

ალბათ, ყველასთვის!

ოღონდ დაპირება ამჯერაც მაინც აუცილებლად უნდა შესრულდეს, თორემ ხალხი „ოცნებას“ ამას აღარ აპატიებს!

ალეკო ასლანიშვილი

◎ მოქალაქის წინასაარჩევნო აზრი

ნუ დავემგვანებით იმ მელიას...

ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ყველაფრის მკადრებელი ცრუპენტელა ნაციონალებო!

თუ მართალნი ხართ ქვეყანისა და ხალხის წინაშე, რატომ არიდებთ თავს თქვენს გუშინდელ მრავალცოდვილ ნაციონალურობას და რატომ ნიღბავთ თქვენს პრეზიდენტობის კანდიდატებს — ერთს გაერთიანებული ოპოზიციის სახელით, ხოლო მეორეს — ევროპული საქართველოს სახელით?! რატომ ფიქრობთ, რომ ამჟამინდელი ამომრჩეველი ისევ მიამიტი და გულუბრყვილოა, ისევ პირწმინდად იჯერებს თქვენს ცრუ დაპირებებს (საიდან 400 ლარი და 50 ლარი პენსიები? ერთმანეთში მაინც მოგელაპარაკათ და საშუალო გამოგეყვანათ!).

თქვენსავით ამაოდ ცდილობენ ამომრჩევლის მოტყუებას ვითომ ნათელმხილველი ექსპერტ-პოლიტოლოგები, როგორიც **შარაშენიძე თორნიკეა, ლაგაზიძე ხათუნაა** და მეტადრე ჩვენი დროის ვანგა, ოღონდ თვალხილული უთვალისჩინო, ივანიშვილისგან მრჩევლობაუარყოფილი, უმადური ხუხაშვილი გიაკო, რომლის შურისმაძიებლური აზრით, ბიძინა ივანიშვილი, როგორც ლიდერი, უკვე დამთავრდა, აი სწორედ ასეთ სინდისგაუქმებულ ადამიანზეა ნათქვამი, უნამუსოს აფურთხებდნენ, ის კი იძახდა, რა კარგი წვიმა მოდისო. **ორპირობისთვის „ოცნებისგან“ მოკვეთილი ვითომ ექსპერტი, აზრგახუხული ხუხაშვილი იმის იმედით, რომ ხვალ ბოროტმოქმედი საკაშვილის მრჩეველი გახდება, უკვე გია კი არა, ის მანასეა, რომელზეც ხალხი იცინის, ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო...**

ასე რომ, არ გეკადრება ასეთი ვერაგული ორპირობა, პატივცემულო **გია-მანასე, შენ ერთდროულად ორ ერს არცხვენ, ორი ერის შვილს კი ასეთი მზაკვრობა ნამდვილად არ გეკადრება!**

ხალხო, ნუ დავემგვანებით იმ მელიას (ნიკანდრო მელიასგან განსხვავებით!), რომელსაც თავისი მახრჩობელა უყვარდა.

ხომ არ დაგავიწყდათ, მთელი ცხრა წელიწადი ვინ გვახჩრობდა და ვისგან ვიყავით ღირსებააყრილნი და ჩარეცხილნი!

ვაჟა გივიშვილი,
მხარეთმცოდნე

აშშ-ის საელჩო: ქართულ სანელებლებში ტყვიის მაღალი შემცველობაა!

აშშ-ის საელჩო აფრთხილებს საქართველოში მცხოვრებ ამერიკის მოქალაქეებს, რომ საქართველოში წარმოებულ სანელებლებში აღმოჩენილია ტყვიის მაღალი შემცველობა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „რადიო თავისუფლება“ ავრცელებს.

„აშშ-ის საელჩოს მიერ ახლახან ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი წარმოების სანელებლების ორ სინჯში (ხმელი სუნელი და ყვითელი ყვავილი) ტყვიის შემცველობა მნიშვნელოვნად აღემატება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაშვებულ მაჩვენებლებს. ორივე პროდუქტი წარმოებულია „GEO-Group“-ის მიერ და ნაყიდია „აგროჰაბში“, — წერია აშშ-ის საელჩოს მიერ საქართველოში მცხოვრები ამერიკის მოქალაქეებისთვის 25 ოქტომბერს გაგზავნილ მიმართვაში.

ტექსტში ასევე ვკითხულობთ, რომ საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რკინის მაღალი შემცველობა აღმოჩნდა დაფქულ წითელ წიწაკაში, რომელიც ასევე წარმოებულია „GEO-Group“-ის მიერ და ნაყიდია ახალციხეში მოქმედ სავაჭრო ობიექტში. **„გარდა ამისა, ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტმაც დაადგინა, რომ ტყვიის მაღალი შემცველობაა საქართველოში წარმოებულ გარკვეულ სანელებლებში“,** — ვკითხულობთ ამერიკის საელჩოს მიმართვაში.

საელჩო აფრთხილებს ამერიკის მოქალაქეებს, რომ საქართველოში წარმოებული სანელებლებზე არ ვრცელდება სურსათის უვნებლობის შეერთებულ შტატებში მოქმედი სტანდარტები და აშშ-ის სამთავრობო პერსონალს ურჩევს, სანელებლები შეიძინონ ამერიკაში ანდა საერთაშორისო დონეზე აღიარებული მწარმოებლებისგან.

მიმართვაში ჩამოთვლილია აშშ-ის საელჩოს რეკომენდაციები:

— სიფრთხილე გამოიჩინეთ, ადგილობრივი წარმოების სანელებლების ყიდვისას;

— სანელებლები შეიძინეთ მხოლოდ ამერიკაში ანდა საერთაშორისო დონეზე აღიარებული მწარმოებლებისგან;

— კონსულტაცია გაიარეთ ექიმთან, ხომ არ სჭირდებათ თქვენს შვილებს სისხლის შემოწმება ტყვიის შემცველობაზე;

გაეცანით აშშ-ის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ვებსაიტზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას საქართველოში მოგზაურთა ჯანმრთელობის შესახებ.

MEDCRUISE ბათუმის პორტის საკრუიზო მარშრუტის ჯაჭვში ჩასმას გეგმავს

საკრუიზო პორტების საერთაშორისო ასოციაცია Medcruise შავ ზღვაზე წრიული საკრუიზო მარშრუტის დაგეგმვას აპირებს.

პროექტის მიხედვით, ლაინერები შევლენ თურქეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, საქართველოს და უკრაინის (ოდესა) პორტებში. პროექტის პრეზენტაცია კი 2019 წელს აშშ-ში გაიმართება. როგორც Medcruise-ს პრეზიდენტი აირამ დიაზ პასტორი განმარტავს, ოპტიმალური გადაწყვეტა იქნება შავ ზღვაში წრიული საკრუიზო მარშრუტის ჩამოყალიბება, რომელშიც ჩაერთვებიან ის პორტები, რომლებიც სამუშაო ჯგუფს უკვე შეუერთდნენ.

„დღეისათვის ასეთი ოთხი პორტია: ოდესა, ვარნა, ბურგასი და კონსტანცა. თუმცა სრულყოფილი საკრუიზო მარშრუტის დაგეგმვისათვის საჭიროა 5-6 პორტი“, — განაცხადა Medcruise-ს პრეზიდენტმა. პროექტში ჩართვისთვის ასოციაცია მალე სტამბოლისა და ბათუმის პორტებთან მოლაპარაკებებს გამართავს.

◎ ძალოსნობა

დავითაძის ჰეთ-თრიკი

პოლონეთის ქალაქ ზამოსცში გამართულ 20-წლამდელ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე 85 კილოგრამ წონით კატეგორიაში შესანიშნავად იასპარეზა რევაზ დავითაძემ: ატაცში მან სამივე ცდა გამოიყენა და 165 კილოგრამით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს კილოგრამით ჩამორჩა ლატვიელი რიტვარს სუჰარევსი, ხოლო 158 კილოგრამით პოლონელი ბართოლომეი ადამუსი მესამე ადგილს დასჯერდა.

ქართველმა ძალოსანმა, რომელმაც წლეულს უფროსებში ევროპის, ხოლო 20-წლამდელებში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, 196 კილოგრამი აკრა და ამ მოძრაობაში ვერცხლის მედალი ხვდა. ამდენივე დაძლია ლატვიელმა რიტვარს სუჰარევსმა, მაგრამ მან წონა პირველმა დააფიქსირა და ოქროც მას დარჩა. 186 კილოგრამით მესამე ადგილი ბართოლომეი ადამუსმა დაიკავა. ორჭიდის ჯამში 361 კილოგრამით ევროპის ჩემპიონობა დავითაძეს ერგო.

85 კგ. 1. რევაზ დავითაძე (საქართველო) — 361 (165+196), 2. რიტვარს სუჰარევსი (ლატვია) — 360 (164+196), 3. ბართოლომეი ადამუსი (პოლონეთი) — 344 (158+186).

ლექსო ცინცაძე

◎ პატივგება

ჩვენთვისაც საამაყოა

ესპანეთის პატარა ქალაქ ბრუნეტეში (10 ათასამდე მცხოვრები), რომელსაც დედაქალაქ მადრიდიდან სულ რაღაც 24 კილომეტრი აშორებს, ნიკოლოზ შერაზადიშვილის სახელობის ქუჩა გაიხსნა.

შეგახსენებთ, რომ იგი უკვე წლებია, პირენეელთა ღირსებას იცავს, წლეულს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე კი პირველი ესპანელი ვაჟი ძიუდოისტი გახდა, რომელმაც ოქროს მედლის მოპოვება მოახერხა.

საზეიმო ღონისძიებას, რომელიც ქალაქის კულტურის ცენტრში შედგა, ბრუნეტეს მერი ბორხა გუტიერესი უძღვებოდა, საპატიო სტუმართა შორის კი მსოფლიო პირველობის მონაწილე სხვა ესპანელი ძიუდოისტებიც (ფრან გარიგოსი, თომას მორალესი, სარა როდრიგესი, ლაურა მარტინესი) იყვნენ.

„ამ ღონისძიებით ყველანი შესაბამის პატივს მივაგებთ ნიკოლოზ შერაზადიშვილს, რომელმაც ჩვენს ქალაქსა და სრულიად ესპანეთს დიდი წარმატება მოუტანა. ჩვენ წლების განმავლობაში თვალს ვადევნებდით წარმოშობით ქართველის პროგრესს, რაც ყველა სპორტსმენისთვის სამაგალითო უნდა იყოს“, — აღნიშნა გუტიერესმა.

ცნობისთვის: აღნიშნული შეხვედრა ბრუნეტეში შემთხვევით არ გამართულა. საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამ ქალაქში ფუნქციონირებს ხოაკინ (კინო) რუისის ძიუდოს სკოლა, სადაც ნიკოლოზი ოსტატობას იმაღლებდა.

რუისი, რომელსაც თავის დროზე მსოფლიოს პირველობაზე — ვერცხლის, ევროპაზე კი ოქროს მედალი აქვს მოპოვებული, ჩვენი თანამემამულის პირადი მწვრთნელია და მისი ჩემპიონობით განსაკუთრებით გაიხარა.

რუისის სახელობის ქუჩა ბრუნეტეში უკვე არსებობს, ახლა კი, ამ პატარა ქალაქში მისი შეგირდის გვარიც გამოჩნდა. საინტერესოა, რომ სპეციალურ დაფაზე ნიკოლოზის გვარი შემოკლებულია და „ნიკო შერას ქუჩა“ აწერია.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ნაკრებში მატებაა

ნოემბრის ტესტებისთვის საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობა ჯერ არ დასახელებულა, თუმცა, გარკვეული ფაქტები უკვე ცნობილი ხდება.

კრასნოიარსკის „კრასნი იარის“ ვებგვერდის ცნობით, „ბორჯღალოსანთა“ რიგებში გამოძახება მიიღეს რუსული გუნდის ქართველმა ლეგიონერებმა — გიორგი ფრუიძემ და ლაშა მალაღურაძემ.

ცნობისთვის: ფრუიძეს ეროვნულ ნაკრებში 3 ლელო აქვს დადებული, მალაღურაძის აქტივში კი 184 ქულაა (4 ლელო, 40 გარდასახვა, 25 ჯარიმა, 3 არეკნი).

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ შემოდგომაზე 3 ტესტი ელით: 10 ნოემბერს — ფლორენციაში იტალიასთან, 17-სა და 24-ში კი — თბილისში სამოასთან და ტონგასთან.

კობა კობახიძე

◎ ხელბურთი

ერთი საგზურის ექვსი მაძიებელი

კოსოვოში დაიწყო 20-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა IHF-ის (ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის) მსოფლიოს თასის (ევროპის ზონა) გათამაშება. მომდევნო ეტაპის ერთ საგზურს ექვსი ნაკრები ეცილება ერთმანეთს. უკვე გაიმართა ორი ტური. სასტარტო შეხვედრები ასე დასრულდა: მალტა-საქართველო — 16:32, მოლდოვა-ირლანდია — 37:21, კოსოვო-ბრიტანეთი — 38:17. მე-2 ტურში ქართველი ხელბურთელები ბრიტანელებს დაუპირისპირდნენ: ბრიტანეთი-საქართველო — 17:35

ბრიტანეთი: ნილი, ბოტომლი, ლეიტერი — 6, ლიისი — 5, სატკლიფი- 4, მეთიუზი — 1, მაკარტი — 1, ფილდი, კოლინზი, გრანტ-ვილიამსი, გილბორნი, პარიპოვიჩი.

საქართველო: სილაგაძე —1, ხანდოლიშვილი, კბილაშვილი — 7, იობაშვილი — 5, არსენაშვილი — 5, იმნაძე — 4, ნიაზაშვილი — 3, ზარნაძე — 3, კუხალაშვილი — 3, ძნელაძე — 2, მერკვილაძე — 1, გავაშელიშვილი — 1, გველესიანი.

პირველი მატჩისგან განსხვავებით, ჩვენმა ნაკრებმა ამ შეხვედრაში უკეთ ითამაშა როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში და საბოლოოდ 35:17 გაიმარჯვა. ამავე ტურში მოლდოვამ მალტას მოუგო — 41:7, ხოლო კოსოვომ ირლანდიას აჯობა — 35:22.

საჭურნირო მდგომარეობა:

მოლდოვა, კოსოვო, საქართველო — 4-4; ირლანდია, ბრიტანეთი, მალტა — 0-0 ქულა.

შეჯიბრების ბოლომდე დარჩენილ შეხვედრათა განრიგი ასეთია:

26 ოქტომბერი. ირლანდია-მალტა, ბრიტანეთი-მოლდოვა, კოსოვო-საქართველო;

27 ოქტომბერი. საქართველო-მოლდოვა, ირლანდია-ბრიტანეთი, მალტა-კოსოვო;

28 ოქტომბერი. საქართველო-ირლანდია, მალტა-ბრიტანეთი, კოსოვო-მოლდოვა.

ლაშა დიდია

◎ მემორიალი

თასი რიონის ნაპირებზე დარჩა

ცნობილი ქართველი კალათბურთელის გელა დარსაძის მემორიალს მისმა მშობლიურმა ქალაქმა ქუთაისმა უმასპინძლა. ტურნირი 16-წლამდელთა შორის ჩატარდა და მისი ფინანსური მხარდამჭერი — ქუთაისის მერია, ხოლო ორგანიზატორი ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანება გახლდათ.

ფინალურ შეხვედრებაზე დასასწრებად იმერეთში საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წევრები და თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ხელმძღვანელები ჩავიდნენ. თამაშებს ქალაქის ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას სახელობის სპორტის სასახლემ უმასპინძლა, რომლის შესასვლელშიც 2 კვირის წინათ ოლიმპიური ჩემპიონების ბიუსტები გაიხსნა.

ფინალურ მატჩში „ქუთაისმა“ „სოხუმი“ დაამარცხა, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი თბილისის „აკადემია“ გახდა. ჩემპიონი გუნდის კაპიტანს ალეკო ვახტანგაძეს სპეციალური პრიზი გელა დარსაძის მეუღლემ, ქალბატონმა ნინო ადამიამ გადასცა. იმერეთის კალათბურთის ფედერაციის ვერსიით საუკეთესო მოთამაშე ქუთაისელი ცოტნე ვახტანგაძე გახდა.

დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობდნენ და პრიზიორებს შესაბამისი მედლები და სიგელები გადასცეს ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მმართველმა კობა ფხაკაძემ, საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებმა — ზაზა ღონღაძემ და ალეკო პეტრიაშვილმა, თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა ვლადიმერ ძიძიგურმა და აღნიშნული ორგანიზაციის გამგეობის წევრებმა — მამუკა ლომიძემ და გიგა ჩაჩანიძემ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

როცა მესი „ისვენებს“

კვირას ესპანური „ელ კლასიკო“ პირველად 2007 წლის შემდეგ მესისა და რონალდუს გარეშე ჩაივლის. მოგეხსენებათ, პორტუგალიელი წლეულს „იუვენტუსში“ გადაბარგდა, მისი მარადიული კონკურენტი კი მხრის მოტეხილობის გამო პარტნიორითა თამაშს მილანის „ინტერთან“ „ნოუ კამპის“ სტადიონის ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

მოგეხსენებათ, იტალიური გრანდი ჩემპიონთა ლიგას ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და „სერია-ა“-შიც ყოჩაღად გამოიყურება, კატალონიელები კი, მართალია, ლიდერის არყოფნაში არცთუ შთამბეჭდავად გამოიყურებიან, მაგრა პრიმერა-დივიზიონში მაინც მეწინავეობენ.

ტოლ-სწორთა ბრძოლაში საკუთარ ტაქტიკურ მრწამსს უფრო მასპინძლებმა უერთგულეს და მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს 2:0 (რაფინია, ხორდი ალბა).

ჯგუფური რაუნდის მესამე ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „ეინდჰოვენი“ — „ტოტენჰემი“ 2:2, „ლოკომოტივი“ — „პორტუ“ 1:3 (რკინიგზელთა ქართველი ლეგიონერი საბა კვირკველია მინდვრიდან გაადევეს), „დორტმუნდი“ — „ატლეტიკო“ 4:0, „პარი სენ-ჟერმენი“ — „ნაპოლი“ 2:2, „ლივერპული“ — „ცრვენა ზვეზდა“ 4:0, „გალათასარაი“ — „შალკე“ 0:0, „ბრიუგე“ — „მონაკო“ 1:1.

გიორგი შოთაძე

დიდი მოქანდაკისა და მხატვრის საიუბილეო გამოფენა

თბილისი არტ გალერეაში მოქანდაკისა და მხატვრის ელგუჯა ამაშუკელის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ელგუჯა ამაშუკელის დაზგური ქანდაკებები, გრაფიკული ნამუშევრები, სხვადასხვა დროს საკონკურსოდ შექმნილი ესკიზები და მოდელები.

სპეციალურად გამოფენისათვის 3 მეტრის სიმაღლის 3 ქართლის დედა შეიქმნა, რომლებიც ქართლის დედის მონუმენტის პირვანდელ სახესა და მის საბოლოო ვერსიამდე განვლილ სახეცვლილებებს ასახავს.

მონუმენტური ქანდაკება, რომლის პირვანდელი სახელწოდება „ქართვლის დედა“ იყო, 1958 წელს, სოლოლაკის გორაზე თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით აღიმართა და ქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა. თავდაპირველი გადაწყვეტილებით, ხის ქანდაკება დედაქალაქს დროებით დაამშვენებდა, თუმცა მოგვიანებით, ხის ფაქტურა ალუმინის ფირფიტებით დაიფარა. 1997 წელს ალუმინის ქანდაკება ახალი, 20 მეტრის სიმაღლის თუჯის მონუმენტით შეიცვალა. ქართლის დედის შექმნისათვის 30 წლის ელგუჯა ამაშუკელმა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მიიღო. გამოფენაზე წარმოდგენილი 3 ნამუშევარი, ქართლის დედის მონუმენტის სამივე სახის შემცირებული, თუმცა ვიზუალურად იდენტური მოდელია.

გამოფენაზე დამთვალიერებელი ვახტანგ გორგასლის ბრინჯაოს ქანდაკებასაც იხილავს. ელგუჯა ამაშუკელის პირველი დიდი წარმატება სწორედ ვახტანგ გორგასლის ძეგლს უკავშირდება, რომელიც თბილისის დამაარსებელი მეფის მონუმენტის შესაქმნელად გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შექმნა და რომლისთვისაც პირველი პრემია მიიღო.

ექსპოზიციაზე ასევე ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედებითი პროცესისა და მისი ნამუშევრების ამსახველი ფოტოები და ვიდეოებია წარმოდგენილი. გამოფენა ეროვნულ არქივში, საჯარო ბიბლიოთეკაში, ხელოვნების ინსტიტუტსა და კერძო კოლექციებში დაცულ დოკუმენტურ ფოტო და ვიდეომასალას, ასევე ფოტოგრაფ გიორგი ინდუაშვილის, სპეციალურად ამ გამოფენისათვის, თბილისსა და რეგიონებში გადაღებული ამაშუკელის ძეგლებისა და მონუმენტების ფოტოებს აერთიანებს.

გამოფენის გახსნის შემდეგ, ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედების შესახებ დისკუსია გაიმართა, რომელსაც თიბისი არტ გალერეის დირექტორი ქეთევან კორძახია, არქიტექტორი ვახტანგ დავითაია და ფილოსოფოსი და არტ-კრიტიკოსი დავით ანდრიაძე გაუძღვნენ.

ვახტანგ გორგასალი, ქართლის დედა, თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „რუსთაველის“ სკულპტურული შემკულობა, ვეფხი და მოყმე, ცოდნის ზარი, ფარნავაზი თბილისში, გიორგი ლეონიძის, ლადო გუდიაშვილისა და უშანგი ჩხეიძის საფლავები მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, დავით აღმაშენებელი ქუთაისში, გამარჯვების მონუმენტი გორში, დაღუპულ მეზღვაურთა მემორიალი მალთაყვაში, ცოტნე დადიანი და კოლხეთის დედა ფოთში, მემედ აბაშიძე და ილია ჭავჭავაძე ბათუმში – ელგუჯა ამაშუკელის ნამუშევრების არასრული ჩამონათვალია.

მონუმენტური ნამუშევრების გარდა, აღსანიშნავია თბილისის სხვადასხვა ნაწილში მისი რელიეფური კომპოზიციებიც, ასევე ნამუშევრები ფერწერის, გრაფიკისა და წიგნის მხატვრობის დარგში. ელგუჯა ამაშუკელი შემდეგი წიგნების ავტორია: **„წერილები ხელოვნებაზე“, „მეექვსე გრძნობა“, „დრო შემოქმედი“**.

თიბისი არტ გალერეაში გამოფენა 17 ნოემბრამდე გაგრძელდება.

პოლიციის რეგიონალურ დანაყოფებს 180 ახალი, მაღალი გამავლობის ავტომანქანა შეემატა

შინაგან საქმეთა სამინისტრო საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლების პროექტს აგრძელებს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პოლიციის ავტოპარკს 180 ახალი, მაღალი გამავლობის ავტომანქანა შეემატა.

ახალი მანქანების გადაცემის ცერემონია მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა. ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ გახსნა და პოლიციელებს სიტყვით მიმართა.

„ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რამხელა მნიშვნელობა აქვს ამ ქვეყანაში, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო იყოს ეფექტურად მომუშავე სტრუქტურა. ეს არის უდიდესი პასუხისმგებლობა ყოველი ჩვენგანისთვის, ვიყოთ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე პასუხისმგებელი, თუმცა ისიც კარგად გვესმის, რომ ყველაფერ ამისთვის ჩვენ გვჭირდება შესაბამისი ინფრასტრუქტურა – ყველაფერი ის, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს თითოეულ პოლიციელს, ეფექტურად და ღირსეულად შეასრულოს თავისი სამუშაო და მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

ავტოტრანსპორტის დიდი ნაწილი სწორედ რეგიონებში იქნება გაგზავნილი და ის პრობლემები, რომელზეც ჩვენ ყოველდღე ვსაუბრობთ, რომ გვაკლია აღჭურვილობა, ტექნიკა და ტრანსპორტი რეგიონებში, ნელ-ნელა ამას ყველაფერს მოვაგვარებთ. თუმცა, ყველაფერთან ერთად ისიც გვესმის, რომ მარტო აღჭურვილობა საკმარისი არ არის. ყველაზე მნიშვნელოვანია ის შემართება, რა შემართებითაც თითოეული პოლიციელი, თითოეული ჩვენი კოლეგა იშრომებს ჩვენი ქვეყნის და თითოეული ჩვენი მოქალაქის დასაცავად და კეთილდღეობისთვის,“ – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები, სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები და მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი შალვა კერესელიძე ესწრებოდნენ.

პოლიციის ახალი მანქანები მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რეგიონის საპოლიციო ქვედანაყოფებში გადანაწილდება. ავტომანქანები მაღალი გამავლობისაა და სპეციალურად რეგიონებისთვის, რთული რელიეფური პირობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩა, რაც ადგილზე საპოლიციო სერვისების უფრო სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებას შეუწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ავტოპარკის განახლება მიმდინარე წლის თებერვლიდან დაიწყო, კერძოდ, იაპონიის მთავრობამ უწყებას 96 ჰიბრიდული ავტომობილი და ელექტრომანქანა გადმოსცა.

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“ მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს, 16 საათზე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ატარებს გამოჩენილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის

ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) დაბადებიდან 115 წლის საიუბილეო საღამოს.

აკადემია „ქალდეას“ პრესსამსახური.

სანთელი

მურიკო თოფურიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული ქალბატონის

ციალა თოფურიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პრეზიდენტმა 57 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას „სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ“, რომლის თანახმადაც სულ შეწყალებულია 57 მსჯავრდებული. შეწყალების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ზვიად ქორიძის განცხადებით, შეწყალების აქტის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლდა 30 მსჯავრდებული.

ვადიანი და უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით შეფარდებული სასჯელი შეუმცირდა 27 პირს, მათ შორის 2 ქალს. შეწყალების საკითხთა კომისიამ 22-24 ოქტომბრის პერიოდში 575 მსჯავრდებულის საქმე განიხილა.

ზუგდიდიდან თბილისის მიმართულებით მოძრავი მატარებელი მამაკაცს დაეჯახა

შემთხვევა სოფელ ცაცხვთან მოხდა. დაშავებული მამაკაცი ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ს 275-ე მუხლით დაიწყო, რაც რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

მოქალაქე ყოფილ ქმარს 3 წლით პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობისთვის და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარისთვის ბრალდებული მ.ა დამნაშავედ ცნო. 2016 წლიდან მ.ა ყოფილ მეუღლეზე – ე.გ-ზე სისტემატურად ახორციელებდა ძალადობას, შეურაცხყოფდა და ამცირებდა მას, მიმართავდა უცენზურო სიტყვებით.

2017 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, განზრახი დანაშაულისთვის პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფმა მ.ა-მ ქუჩაში შეაჩერა ე.გ, ძლიერად დაუჭირა ხელი და უყვიროდა, რომ სამსახურისთვის თავი დაენებებინა. 2018 წლის 15 მარტს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე მ.ა. შეუმჩნევლად მიუახლოვდა ე.გ-ს და ხმამაღლა გინება დაუწყო, რა დროსაც ანიშნა, რომ ჯიბეში ჰქონდა დანა და სახლიდან გამოსვლის შემთხვევაში დასახიჩრებით დაემუქრა. სამართალდამცველებმა მ.ა 2018 წლის 29 მარტს ქ.თბილისში დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მ.ა დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84



ვენა ფიროსმანს მასპინძლობს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ვენის ალბერტინას მუზეუმი ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენას მასპინძლობს. გამოფენა ოფიციალურად 25 ოქტომბერს გაიხსნა. გახსნის ცერემონიას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, ალბერტინას მუზეუმის დირექტორი კლაუს ალბრეხტ შრედერი და გამოფენის კურატორი ბიშე კურიგერი გაუძღვებიან.

„NIKO PIROSMANI - A Wanderer Between Worlds“ – ამ სახელწოდების ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენის ხილვა, ალბერტინას მუზეუმში, ფართო საზოგადოებას 2019 წლის 27 იანვრამდე შეეძლება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრის 29 ნამუშევარი საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის კოლექციიდან, ასევე, 1972 წელს, პარიზში, ილია ზდანევიჩის მიერ ხელნაკეთი წიგნი, სახელწოდებით „ფიროსმანაშვილი 1914“. აღნიშნულ წიგნში შესულია პაბლო პიკასოს მიერ შესრულებული გრავიურა „ფიროსმანის პორტრეტი“.

ვენაში, ალბერტინას მუზეუმში ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენა, მხატვრის გარდაცვალების 100 წლისთავს ეძღვნება. პროექტის ფარგლებში, ასევე პირველად გამოიფინება ცნობილი იაპონელი არქიტექტორის ტადაო ანდოს მიერ სპეციალურად შექმნილი მაგიდა სახელწოდებით „Table Of Pirosmani“, რომელიც, სწორედ, მხატვრის ხსოვნას ეძღვნება.

მია სანდის გრანდიოზულობანი

„საწოლის შამავსებელ“ ჩათქვირულ ქალებზე გადარეულ ლუარსაბ თათქარიძეს მხოლოდ წიგნის ფურცლებზე რომ არ ეცხოვრა და ჩვენი დროის დანიის მოქალაქე ყოფილიყო, აუცილებლად შეიყვარებდა კოპენჰაგენელ მოდელს მია სანდის, რომელიც ერთი შეხედვით მოდელს ნამდვილად არ მოგაგონებთ.

იგი ბავშვობიდან ძალოსნობითაა გატაცებული და ეს მისი სხეულის ფრიად მსუყე და საგულისხმო ფორმებზეც აისახა. წარმოდგენილ ფოტოებზე, ალბათ, კარგად ხედავთ ქალბატონი მიას ფორმებისა და შესაძლებლობების გრანდიოზულობას, რამაც ამ დედაკაცს სახელი მთელს დუნიაზე გაუთქვა.

არამხოლოდ დანიასა და სკანდინავიაში, მთელს ევროპაში ქალის სპორტული ინვენტარი არ გაჭაჭანებულა ისე, მის გასარეკლამებლად მია სანდისთვის რომ არ ეხმოთ. ერთ რამედ ღირს იმის ცქერა, ახალი წარმოების სპორტულ შარვალს ეს ქალი როგორი წვალებთ იცვამს ფერხორციან სხეულზე და მუდამ იმის შიშშია, წინ ზედმეტად არ გადაიხაროს და ფხრაწანი არ გაადენინოს...

იცით თუ არა, რომ...

● ...მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ავტომანქანაში უსაფრთხოების ღვედების გამოყენება წინა სავარძელზე მჯდომი მგზავრის სიკვდილის რისკს 40-50, ხოლო უკანა სავარძელზე მჯდომისთვის კი 75 პროცენტით ამცირებს?

● ...10-15 პროცენტით სმენის დაქვეითება შეიძლება უბრალო სურდოსაც მოჰყვეს?

● ...XVII-XVIII საუკუნეებში საფრანგეთის მეფეებს დელიკატესური ყველი ბრით ხარკის ნაწილს უხდიდნენ?

● ...ქალაქ პერმში ადამიანის გულს გრანატის ძეგლი დაუდგეს?

● ...დეპრესიას ქალები მამაკაცებზე ორჯერ უფრო ხშირად უჩივიან?

● ...დასახული მიზნის მიღწევის ყველაზე იოლ გზად ძველი ჩინელები მიბაძვას მიიჩნევდნენ?

● ...ელექტრული სკამი სტომატოლოგმა ალბერტ საუთვიკმა გამოიგონა, რომელიც თავდაპირველად ვარაუდობდა, რომ სამედიცინო პრაქტიკაში ელექტრობის გამოყენება ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად შეიძლებოდა?

● ...ამერიკული ნევადის შტატის ყოველი მცხოვრები კაზინოებში ყოველწლიურად, საშუალოდ 846 დოლარს აგებენ?

● ...სიტყვა „შოკოლადი“ აცტეკური სიტყვა „ჩოკოლატლიდან“ წარმოიშვა, რაც „მწარე წყალს“ ნიშნავს?

● ...დანაშაული, რომელსაც ახალგაზრდები ყველაზე ხშირად სჩადიან, ძარცვა, ქურდობა, თაღლითობა და ნარკოტიკებით ვაჭრობაა?

● ...დაოჯახებული მამაკაცები, რომლებმაც მამობა მოასწრეს, ცოლთან გაყრილებზე მეტ გასამრჯელოს იღებენ?

● ...თურმე მაღალი ტანი ადამიანის ლიდერის თვისებებთან და მაღალ ინტელექტთან ასოცირდება – მამაკაცებში ესაა 185 სანტიმეტრი, ხოლო ქალებში 175 სანტიმეტრზე მეტი?

● ...შვებულების ოპტიმალური ხანგრძლივობა 8 დღეა, რადგან ამ დროის შემდეგ ტვინი კვლავ ყოველდღიურ სადარდებელს უბრუნდება?

● ...ბალახიან მინდორზე საყოველთაოდ მიღებული ფეხბურთის თამაშის გარდა, მსოფლიოში მისი კიდევ რამდენიმე სახეობა არსებობს, კერძოდ, მსოფლიო პირველობები ტარდება ექიმებს, უსახლკაროებსა და ინვალიდ ამპუტანტებს შორის, ასევე ეგრეთ წოდებული „პლაჟისა“ და „ჭაობის“ ფეხბურთში, თუმცა ამ უკანასკნელს ფიფა არ ცნობს?

● ...70 წლის მოლდოველი საესტრადო მომღერალი სოფია როტარუ საათებს აგროვებს, 67 წლის მოცეკვავე ნადეჟდა ბაბკინა – პატარა სპილოების ქანდაკებებს, 60 წლის დეტექტივების ავტორი ალექსანდრა მარინინა კი – ზანზალაკებს?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

რედაქციას სასწრაფოდ ესაჭიროება კვალიფიციური დამკაბადონებელი. გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: კოსტავას ქ. №21, II სართული. ტელეფონი: 599-79-76-79, 599-53-76-16, 599-36-00-35.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7029; ევრო - 3.0843;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4913;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4738;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5946;
1000 სომხური დრამი - 5.5845.

ამინდი 26 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+7,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	+3,	დღე	+10
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge